პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 296 (9456) | ოთხშაბათი, 17 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ვზარდოთ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
მზრუნველობით მოვუაროთ ვენახებს, მივაღწიოთ ყურძნის მაღალ და მყარ მოსავალს. თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა (მე-2 და მე-3 გვერდი).
ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი — ჩვენი ანსამბლი ჩეხოსლოვაკიაში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 გვერდი).
ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვზარდოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კადრები

განუწყვეტლივ იზრდება ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღჭურვა პირველხარისხოვანი უახლესი ტექნიკით. არსად ისე ფართოდ არ იყენებენ მანქანებს, როგორც სსრ კავშირში, ვინაიდან მანქანები ჩვენში ძუძუებს, კოლმეურნეებს უადვილებენ, უმსუბუქებენ შრომას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას სოფლის მეურნეობის განვითარებაში. თავის ახალ გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი წერს: „ჩვენ ყველას გვიხარია ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზარმაზარი ზრდა, მარცვლეულის წარმოების, ბამბის, სელის, ჭარხლისა და სხვ. წარმოების ზრდა. სად არის ამ ზრდის წყარო? ამ ზრდის წყაროა თანამედროვე ტექნიკა, მრავალრიცხოვანი თანამედროვე მანქანები, რომლებიც წარმოების ყველა ამ დარგს ემსახურება. საქმე აქ საერთოდ მარტო ტექნიკა კი არაა, არამედ ის, რომ ტექნიკა არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, ის მუდამ სრულყოფილი უნდა ხდებოდეს, რომ ძველი ტექნიკა მწყობრიდან უნდა გამოდიოდეს და იცვლებოდეს ახლით, ახალი კი—უახლესი ტექნიკით. უამისოდ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი სოციალისტური მეურნეობის შემდგომი წინსვლა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც დიდი მოსავალი, არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს კოლმეურნეობებში მინდვრის ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დამთავრებას, მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის შრომატევად სამუშაოთა ფართოდ გაჩაღებას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის მიერ დასახულია ამოცანა — უახლოეს წლებში საქართველოს უზრუნველყოფა საკუთარი წარმოების მარცვლეულით. მარცვლეულის პრობლემის სანამუშოდ გადაჭრა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების და ყველა მშრომელის ცენტრალური ამოცანაა. „საქართველოს კომპარტიამ, — განაცხადა საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ, — ისე უნდა იმუშაოს, რომ 1957 წლისათვის მთლიანად გადაჭრას მარცვლეულის პრობლემა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამაში მოსავლიანობის გადიდება. ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გადავჭარბოთ დაგეგმილ მოსავლიანობას, განსაკუთრებით ხორბლის მოსავლიანობას“.

მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, ჩაის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება შეუძლებელია მექანიზაციის ფართოდ დაუნერგავად. პარტიის, დიდი სტალინის მზრუნველობით სოფლად გამოიზარდნენ მექანიზატორთა საუკეთესო კადრები, რომლებიც დაეუფლნენ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის ტექნიკას. მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები საკოლმეურნეო სოფლის ოქროს ფონდს შეადგენენ.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 95 მტს-ი და 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგურია. 1953 წლიდან არსდება კიდევ 4 ახალი მტს-ი. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის მკვეთრად ამაღლების, უდიდესი ტექნიკური პროგრესის პირობებში პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ახალი ტექნიკური კადრების მომზადებისათვის. მთელი სიგრძე-სიგანით დასმულია საბრძოლო ამოცანა — გადაჭრით გაუმჯობესდეს მტს-ების მუშაობა, გადიდდეს მათი მართვაგანიზებელი როლი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის; თვითეული ტრაქტორი და სხვა მანქანები გამოყენებულ იქნას სრული დატვირთვით. მაშასადამე, საჭიროა განუწყვეტლივ შევავსოთ და ვზარდოთ მექანიზატორთა კადრები, საკოლმეურნეო სოფელს არ მოვაკლოთ ისეთი კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი ტექნიკა მთელი ოსტატობით და გამოსწურონ ტექნიკას იმის მაქსიმუმი, რისი გამოწურვაც კი მისგან შეიძლება.

ველისციხეში (გურჯაანის რაიონი), სურამსა და წულუკიძეში მოწყობილია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლები. ამ სკოლებსა და მტს-ებთან არსებულ კურსებზე ხდება მექანიზატორთა კადრების მომზადება. 1952-1953 სასწავლო წელს სკოლებში უნდა მომზადდეს სხვადასხვა სპეციალობის —ტრაქტორისტების, კომბაინერების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების და სხვათა კვალიფიციური კადრები, რათა მომავალ წელს უზრუნველყოფილ იქნას ყველა სატრაქტორო აგრეგატის ორცვლიანი მუშაობა. მექანიზატორთა სკოლებში ორი თვეა, რაც სწავლა დაიწყო. წელს სკოლები უფრო ორგანიზებულად შეუდგნენ ამ საქმეს გასულ წელთან შედარებით. მაგრამ სკოლებისა და კურსების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. დღემდე მთლიანად არ არის დაკომპლექტებული მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა მოსამზადებელი კურსები. სკოლებში დაგვიანებით და ისიც შეუფერებელ მსმენელებს გზავნიან კასპის, შინდისის, დუშეთის, თიანეთის, ადიგენის, საგარეჯოს, ზნაურის მტს-ები, მაშინ როცა ეს მტს-ები მექანიზატორთა კადრების ნაკლებობას განიცდიან. ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლების ხარისხს, სწავლება პრაქტიკისაგან მოწყვეტით მიმდინარეობს. ასეთ ფაქტს გასულ წელს ადგილი ჰქონდა წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლაში. ამ მდგომარეობიდან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლების ხელმძღვანელმა მუშაკებმა და აამაღლონ სწავლების ხარისხი.

მექანიზაციის სკოლები მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელოებით. ეს მაშინ, როცა გვყავს მექანიზატორთა ისეთი პედაგოგიური პერსონალი, რომელსაც შეუძლია ამ ხარვეზის შევსება. საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების შერჩევისა და მომზადების განყოფილების მუშაკებმა მეტი ინიციატივა გამოიჩინონ, მოიზიდონ სახელმძღვანელოების შესადგენად კვალიფიციური ავტორები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ საქმის წინ წაწევას. მექანიზატორთა სკოლებში და კურსებზე სწავლების ხარისხის ამაღლებას ხელს შეუწყობს ისეთი ბროშურების გამოცემა, რომლებშიც განზოგადებული იქნება ტექნიკის სრულად გამოყენების ოსტატთა მდიდარი გამოცდილება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს მუშაკთა მოვალეობაა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმის დაჩქარებით მოგვარებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მექანიზატორთა კადრების მომზადებას, გააძლიერონ მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, იბრძოლონ მათი ჰორიზონტის გაფართოებისათვის და აღზარდონ ისინი დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ჩაუნერგონ მათ მუშაობაში მაღალი დისციპლინის ჩვევები. საჭიროა ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი მოწინავე ახალგაზრდა მექანიზატორების შესანიშნავ ინიციატივას, რომლის მიზანია ის, რომ თვითეული მექანიზატორი დაეუფლოს რამდენიმე პროფესიას. ამ საქმეში სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გვიჩვენონ ოპერატიული მუშაობის დიდი უნარი.

ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი კადრების მომზადებაში, ვამრავლოთ ახალ ტექნიკას დაუფლებულ ადამიანთა რიგები, მთელი ძალები მოვახმაროთ ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

გეგმების შესრულება

აჭარის კოლმეურნეობებმა 1 დეკემბრისათვის შეასრულეს წლიური გეგმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდისა — 103,2 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 120,6 პროცენტით, ღორისა — 124,2 პროცენტით და ცხენისა — 107 პროცენტით.

* * *

შამპანური ღვინოების თბილისის ქარხანამ 13 დეკემბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა. ამასთან დაზოგილია 190 ათასი მანეთის ნედლეული. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო მიმდინარე წლის ბოლომდე 1953 წლის ანგარიშში გამოუშვას 5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★

ზეგეგმითი ფოლადი

ტაგანროგი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ანდრეევის სახელობის ქარხნის მემარტენეებმა უკანასკნელი რამდენიმე ტონა ფოლადი გამოუშვეს წლიური გეგმის ანგარიშში.

საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია მარტენის მეორე საამქროს კოლექტივმა. აქ მთელი ნადნობის 70 პროცენტი გამომშვებულია ჩქაროსნული მეთოდით.

მეფოლადეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოადნონ ათასობით ტონა ფოლადი.

სკოლების მომზადება პოლიტექნიკური სწავლებისათვის

ზაპოროჟიე, 15 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქის საშუალო სკოლებში მიმდინარეობს მზადება პოლიტექნიკური სწავლების შემოღებისათვის. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები ივსება ახალი მოწყობილობით. კაბინეტებისათვის ბევრ თვალსაჩინო სახელმძღვანელოს ამზადებენ მოსწავლეები. № 14 საშუალო სკოლის მოწაფეებმა დაამზადეს აკუმულატორების 20 მოდელი, 40 ელექტრომაგნიტი და სხვა მოწყობილობა. № 32 სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები — ნორჩ ტექნიკოსთა წრის წევრები აწყობენ სკოლის რადიოკვანძს.

საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამებში შეაქვთ ექსკურსიები ქარხნებში და მშენებლობებზე. მოწაფეები ნახულობენ ქარხანა „ზაპოროჟსტალს“, კოქსქიმიურ ქარხანას, „დნეპროსპეცსტალს“, ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრჰესს, სადაც დაწვრილებით ეცნობიან წარმოების პროცესებს. ეწყობა ექსკურსიები სამხრეთ უკრაინის არხის ტრასზე.

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგებისათვის მზადება

მთავრდება სასწავლო წლის მეორე მეოთხედი. 30 დეკემბრიდან სკოლებში დაიწყება საზამთრო არდადეგები.

მოსკოვის ოლქის ქალაქებში, სოფლებსა და მუშათა დაბებში დაიწყო მომავალი არდადეგებისათვის მზადება. ყველა დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლაში, პიონერთა სახლებში, კლუბებში, კულტურის სახლებში მოეწყობა საახალწლო ნაძვისხე, დილის წარმოდგენა, პიონერთა და მოსწავლეთა შეხვედრები საბჭოთა კავშირის გმირებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან, სტალინური პრემიის ლაურეატებთან, მეცნიერებთან, სტახანოველებთან, მწერლებსა და მსახიობებთან. უფროსკლასელთათვის გაიმართება საახალწლო ბალები და მასკარადები.

5.000-ზე მეტი მოსწავლე დაესწრება საახალწლო ნაძვისხეს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, მსახიობის სახლში, სასპორტო საზოგადოება „კრილია სოვეტოვ“-ის კლუბში და სხვ. 45 ათასი პიონერი და მოსწავლე ნახავს წარმოდგენებს სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრსა და სხვა თეატრებში.

საზამთრო არდადეგების დროს მოსწავლეთათვის გაიმართება 16 ათასი კინოსეანსი.

ბევრი პიონერი და მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს ტანმოვარჯიშეთა, მოკადრაკეთა, მოშაშეთა, მოთხილამურეთა, მოციგურაოეთა შეჯიბრებებში, ავიასამოდელო სპორტში. ყველგან მოეწყობა ბავშვთა მხატვრული შემოქმედების დათვალიერება, სახვითი და ტექნიკური შემოქმედების სასკოლო გამოფენები, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა გამოფენები. (საკდესი).

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის ავტომატური მართვის პროექტი

ხარკოვი, 15 დეკემბერი. (საკდესი). მექანიზმში იდება დღეღამის განმავლობაში ელექტროსადგურის დატვირთვის გრაფიკი, დახაზული მუყაოს ფურცელზე. ამით იწყება და მთავრდება ადამიანის ჩარევა აგრეგატების მართვის პროცესში. ამის შემდეგ აქ ყველაფერი ავტომატურად ხორციელდება. სიმძლავრის რეგულატორი ავტოოპერატორთან ერთად უზრუნველყოფს დასახული გრაფიკის ზუსტად შესრულებას. თუ საჭიროება მოითხოვს, ისინი აამუშავებენ დამატებითს მანქანას და დატვირთავენ მას ან, პირიქით, გამორთავენ აგრეგატს, რომელიც არ არის საჭირო. ავტომატურად მოხდება მწყობრიდან გამოსული მანქანის შეცვლა. შეუმჩნევლად არ დარჩება არავითარი დეფექტი მთელი ენერგოსისტემის მოქმედებაში.

დისპეტჩერს, რომელიც სადგურიდან ათობით კილომეტრზე იმყოფება, შეუძლია ისარგებლოს ტელემექანიკის საშუალებებით და თვალყური ადევნოს მართვის ყველა პროცესს. როცა საჭირო გახდება, იგი ჩაერევა სადგურის მუშაობაში.

მომავალი კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მართვის პროცესების სრული ავტომატიზაციის ასეთი პროექტი დაამთავრეს სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტის“ უკრაინის განყოფილების მუშაკებმა.

ამჟამად დამპროექტებლები უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროტექნიკის ინსტიტუტის ლაბორატორიასთან ერთად ადგენენ ავტომატიკის სამუშაო პროექტებს, ქმნიან აპარატურის ახალ ნიმუშებს.

მზადება ყარა-ყუმის წყალით უზრუნველყოფისათვის

აშხაბადი, 15 დეკემბერი. (საკდესი). თურქმენეთის მთავარი არხი წყალით უზრუნველყოფს დაახლოებით შვიდ მილიონ ჰექტარ საძოვარს. ამასთან დაკავშირებულ სამუშაოთა თითქმის მთელი მოცულობა მოდის „კარაკუმსელვოდსტროიზე“. წელს გაჩაღდა ძირითად სამუშაოთათვის მზადება — იქმნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

აშხაბადში აგებულია სასწავლო ქალაქი. დეკემბერში სასწავლო კომბინატში მეცადინეობას შეუდგა პირველი ასი კაცი. კომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს დაახლოებით 600 ბულდოზერისტს, მექანიკოსებს, გრეიდერისტს და სატუმბავი დანადგარის მეშანქანეს.

წყალით უზრუნველყოფის სისტემების მშენებლობის სამმართველო აშხაბადის თორმეტ პუნქტში აშენებს საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე საწარმოებს. უკვე ჩადგა მწყობრში დიდი სარემონტო სახელოსნოები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზები, გარაჟები ასობით მანქანისათვის, მთავრდება ხის დამმუშავებელი კომბინატის მშენებლობა. ლვოვიდან ჩამოვიდნენ ავტოსატვირთავები, კოვროვიდან — ექსკავატორები, გორკიდან და მინსკიდან—ავტომანქანები, ლენინგრადიდან და სვერდლოვსკიდან — ელექტრო და საჩარხე მოწყობილობა.

„კარაკუმსელვოდსტროის“ კოლექტივი მომავალ წელს ხუთ-ექვსჯერ გააფართოებს სამუშაოთა მოცულობას.

50 მილიონზე მეტი მანეთი მატალურგებსა და მაღაროელებს ნამსახურობისათვის

დნეპროპეტროვსკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დნეპრისპირეთის პეტროვსკის სახელობის უძველეს ქარხანაში დაიწყო ჯილდოების გაცემა ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის.

მებრძმედე ოსტატი მიხეილ ნოვიკოვი, რომლის ბრიგადამაც მიაღწია ღუმელის სიმძლავრის გამოყენების საუკეთესო მაჩვენებლებსა და ბევრი ზეგეგმითი თუჯი გამოადნო, წელს იღებს 4.500 მანეთს. თითქმის ოც წელიწადს იმუშავა საამქროში ვაგონსასწორის მემანქანემ ივანე მონაგაროვმა. მან მიიღო სამი ათასამდე მანეთი. დიდი თანხები მიეცათ მარტენის მესამე საამქროს სტახანოველებს თეოდორე ცოცკოს, მსხმელებს ივანე პეტრუხნოს, ივანე ტურსკის და სხვებს.

ნამსახურობისათვის ჯილდო ეძლევათ აგრეთვე კ. ლიბკნეხტის სახელობის, ძერჟინსკის სახელობისა და სხვა მეტალურგიული ქარხნების სტახანოველებს.

წელს ოლქის მეტალურგები და მაღაროელები ნამსახურობისათვის იღებენ 50-ზე მეტ მილიონ მანეთს.

დიდი მოგებანი

14 დეკემბერს ვოლოგდაში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) მოგებათა მეორე ტირაჟი.

გათამაშდა 794.055.600 მანეთის 3.112.200 მოგება.

ოცდახუთი ათასი მანეთი მოგება ხვდა ამ სესხის ყველა 342 თანრიგის 100004 სერიის № 16 ობლიგაციებს.

ათი ათას მანეთ მოგებას მიიღებენ 100247 სერიის № 04, 110845 სერიის № 01, 113011 სერიის № 25, 116777 სერიის № 41 და 119816 სერიის № 16 ობლიგაციების მფლობელნი.

ტირაჟში გათამაშდა აგრეთვე ხუთი ათასი, ათასი, ხუთასი და ორასი მანეთის ბევრი მოგება. (საკდესი).



სტალინოს ოლქი. ხარციზსკის ფოლადის მავთულ-ბაგირის ქარხანა აღჭურვილია ახალი მანქანებით. პროდუქციის გამოშვების ყველა პროცესი მთლიანად მექანიზებულია. **სურათზე:** საბაგირო საამქროში. ფოტო ს. **გენდელმანისა** (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ი. ვ. მიჩურინის მოძღვრების გავრცელება ჩინეთში

პეკინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „გუანმინიბაოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „აღვმართოთ ახალ ჩინეთში მიჩურინის მოძღვრების დროშა“ სრულად ჩინეთის მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩენ ფინ-ტუნი წერს, რომ ცნობილი საბჭოთა ბიოლოგების მიერ ჩინეთში წაკითხული ლექციების ციკლის შემდეგ ჩინეთის ბიოლოგებს შორის დაიწყო ფართო მოძრაობა ი. ვ. მიჩურინის მოძღვრების დაუფლებისათვის. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის საბჭოთა სპეციალისტები, აღნიშნავს ავტორი, დაგვეხმარნენ ახალ საფეხურზე აგვეყვანა ჩინეთში ბიოლოგია, ახალი ფურცელი გადაგვეშალა სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში.

აღნიშნავს რა ჩინეთის ეკონომიკის განვითარების უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს, ავტორი წერს, რომ ჩინეთის სოფლის მეურნეობის მომავალი გარდაქმნა ჩინელი მეცნიერებისაგან მოითხოვს რაც შეიძლება მალე დაეუფლონ მიჩურინის მოძღვრებას, რათა სავსებით მომზადებული შეხვდნენ ახალი მშენებლობის გადაუდებელ მოთხოვნებს.

რუმინეთის სახალხო მეურნეობა 1953 წელს

ბუქარესტი, (საკდესი). რუმინეთის მინისტრთა საბჭომ მოიწონა რუმინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის — ხუთწლედის მესამე წლის გეგმა. როგორც ბუქარესტის პრესა აღნიშნავს, ამ გეგმის შედგენის დროს პარტია და მთავრობა ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დოკუმენტებით. 1953 წელს სამრეწველო პროდუქცია, 1952 წლის წინასწარ შედეგებთან შედარებით, შეადგენს 124 პროცენტს, ხოლო საწარმოო საშუალებათა წარმოება მიაღწევს შესაბამისად 128 პროცენტს. მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის ახალ რთულ სახეობათა და მათ შორის საშახტე თბომავალთა, სატურბინე ბურღვის აგრეგატთა, ექსკავატორთა და სხვ. გამოშვების შემდგომი გადიდება.

სერიოზული ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის შემდგომ მექანიზაციას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მიიღებენ 1.400 ტრაქტორს, 1.350 სალეწ მანქანას და ბევრ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანასა და ინვენტარს.

საქონელბრუნვის მოცულობა გაიზრდება 21 პროცენტით. კაპიტალდაბანდება სამინიმო მშენებლობაში ერთიანად გადააჭარბებს იმ თანხას, რაც დასახულია დაიხარჯოს ამ მიზნით მიმდინარე წელს. მუშათა რიცხობრივი შემადგენლობა გადიდდება 200 ათასი კაცით, ხოლო ხელფასის ფონდი—16 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობა, 1952 წელთან შედარებით, შეადგენს 132 პროცენტს. წყობაში ჩადგება და გაფართოვდება ათობით დიდი ფაბრიკა, ქარხანა და ელექტროსადგური. დაიწყება მოლდოვის ახალი მეტალურგიული ცენტრის, ალუმინის კომბინატის, პენიცილინის, შაქრისა და ცემენტის ქარხნების, სატვირთო ავტომანქანების ქარხნისა და სხვა დიდი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.

ახალი წლიური გეგმის მთავარი თავისებურება ის არის, რომ ამ გეგმაში მნიშვნელოვნად გადიდებულია ხუთწლიანი გეგმით 1953 წლისათვის გათვალისწინებული დავალებანი.

ამუშავდა პოლონეთის უდიდესი ბლუმინგი

ვარშავა, 15 დეკემბერი. (საკდესი). 13 დეკემბერს მეტალურგიულ ქარხანა „ბობრეკში“ (სილეზია) საზეიმო ვითარებაში ამუშავეს პოლონეთის უდიდესი ბლუმინგი, რომელიც საბჭოთა კავშირშია გაკეთებული. იგი წელიწადში გამოუშვებს 1 მილიონ ტონა ნაგლინს, ე. ი. ერთიორად მეტს, ვიდრე პოლონეთის ახლანდელი ყველაზე დიდი ბლუმინგი.

ბლუმინგის ამუშავება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. ორატორებს, რომლებიც აღნიშნავდნენ სსრ კავშირის უდიდეს და უანგარო დახმარებას სახალხო პოლონეთისადმი, სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშით პოლონელი ხალხის ხელმძღვანელის ბოლესლავ ბერუტისა და მშრომელი კაცობრიობის საყვარელი ბელადის ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა ალბანეთში

ტირანა, 10 დეკემბერი. (საკდესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვას. ამჟამად ალბანეთში ქალაქისა და სოფლის 46 საავადმყოფოა, ესე იგი თითქმის რვაჯერ მეტი, ვიდრე 1938 წელს იყო. სახალხო ხელისუფლებამ ქალაქებში, მუშათა ცენტრებსა და სოფლებში შექმნა სამშობიაროო სახლების, ბავშვთა ბაგეებისა და პროფილაქტორიუმების ქსელი. შექმნილია ავრეთვე მალარიის საწინააღმდეგო 38 სადგური.

მოსახლეობაში წარმოებს ფართო სანიტარულ-ჰიგიენური პროპაგანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველობით მოვუაროთ ვენახებს, მივაღწიოთ ყურძნის მაღალ და მყარ მოსავალს

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

13 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგ **ა. ი. მგელაძის** თავმჯდომარეობით შედგა ფართო თათბირი ვენახების მოვლის გაუმჯობესების საკითხზე. თათბირს დაესწრნენ პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები, საოლქო საბჭოების აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მევენახეობის რაიონების პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, მევენახეობის დარგის სპეციალისტები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **ზ. კეცხოველმა, ზ. ჩხუბიანიშვილმა, ვ. ცხოვრებაშვილმა, ვ. ბუჯიაშვილმა.**

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ვ. ბაქრაძის** საინფორმაციო მოხსენება ვენახების მოვლის მდგომარეობის შესახებ. ამხ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეისწავლა ვენახების მოვლის მდგომარეობა საქართველოში. გამოირკვა, რომ ვენახების მოვლა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. უკანასკნელ წლებში ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა შეანელეს ყურადღება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგისადმი, როგორიც არის მევენახეობა. ხელმძღვანელობის მანკიერმა სტილმა, თვითკმაყოფილებამ, პარადულმა ხმაურმა და ფორმალურმა დამოკიდებულებამ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებისადმი, რაც გაბატონებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველ ხელმძღვანელობაში, ძალიან ცუდი გავლენა იქონია მევენახეობაზე. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების უმეტესობაში უხეშად არღვევენ ვენახების მოვლის აგროტექნიკურ წესებს, ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი მოუვლელია.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით საკავშირო მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით გათვალისწინებულია 1955 წელს ვენახების ფართობი გადიდდეს 60.000 ჰექტარამდე. ამავე დროისათვის ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე აყვანილ უნდა იქნას კოლმეურნეობებში 55 ცენტნერამდე, საბჭოთა მეურნეობებში — 60 ცენტნერამდე. სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარებამ წელიწადში 100 ათას ტონას უნდა მიაღწიოს. 1950 და 1951 წლებში ყურძნის მოსავლიანობა, გადიდების ნაცვლად, შემცირდა კიდეც. 1951 წელს კოლმეურნეობებში ყურძნის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე მიღებული იყო 31,3 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა და 1949 წელს ფაქტიურად მიღებული 42,8 ცენტნერისა. ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს შემდეგი რაიონების კოლმეურნეობებმა: მცხეთის — 8,7 ცენტნერი, გარდაბნის — 6,9, დმანისის — 12,5, გარეჯის — 13,1, დუშეთის — 5,6, კასპის — 8,7, გორის — 12,2, ქარელის — 7,9, ასპინძის — 7,5, ადიგენის — 7,9, ახალციხის — 1,8, ჭიათურის — 14,6, მახარაძის — 8, წალენჯიხის — 12,7 და გეგეჭკორის — 13,4 ცენტნერი.

ამხ. ვ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ მთელი რიგი რაიონები სისტემატურად არ ასრულებენ ვაზის ისეთი ძვირფასი ჯიშების მყნობის გეგმას, როგორიცაა მწვანე, საფერავი, კაბერნე, მუხრანული, გორული-მწვანე, ჩინური, პინო, უსახელაური, ჩხავერი და ალექსანდრეული.

ვენახების გასაშენებლად პლანტაჟის სამუშაოებს არა თავის დროზე და უხარისხოდ ატარებენ, პლანტაჟის ამოღების სათანადო სიღრმეს არ იცავენ, პლანტაჟის წინ არ შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები, ხოლო მთელი რიგი რაიონები არ ასრულებენ ნიადაგის მომზადების გეგმას ვაზის გასაშენებლად. ახალი ვენახების გაშენების 1951 წლის გეგმები არ შეუსრულებიათ ახმეტის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურისა და ასპინძის რაიონებს. ასპინძის, ახალციხის, ახმეტის, ცაგერისა და სხვა რაიონებში ვენახებს ფორმალურად აშენებენ, დარგვის შემდეგ მათ არ უვლიან და ვენახები მოუვლელობით ზიანდება.

ამხ. ბაქრაძემ მოიყვანა ვენახების მოუვლელობის კონკრეტული ფაქტები, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ვენახების დიდი ნაწილი ყოველწლიურად დაუმუშავებელი, გაუთოხნავი რჩება. ბოლნისის, ახმეტის და სხვა რაიონებში ვენახებს იყენებენ პირუტყვის საზამთრო საძოვრებისათვის, ხოლო გარეუბნის, მცხეთის, გორის, კასპის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, საჩხერის რაიონებში იმის გამო, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე არ დაამუშავეს, ვენახების ნაწილი დაფარულია სარეველა ბალახებით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ვაზის გასხვლის საკითხზე. მან განაცხადა, რომ ბევრ შემთხვევაში ვაზის გასხვლა არა თავის დროზე და უხარისხოდ ტარდება. ეს იმ დროს, როცა ვაზის სწორად გასხვლა მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა.

კოლმეურნეობებს, რაიონებს ყველა საშუალება აქვთ ვენახები გადაიყვანონ მავთულზე, რაც მოსავლიანობას 20-25 პროცენტით ადიდებს. მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელების შეუფასებლობას იჩენენ, რაც არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას.

შეეხო რა შრომის ორგანიზაციის საკითხს, ამხ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებში ვენახების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგია. მევენახეობის ძირითადი რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში, სადაც ვენახები ცუდ მდგომარეობაშია, შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. მევენახეობის სპეციალური ბრიგადები მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ არის მოწყობილი ან ფორმალურად არსებობენ.

ამხ. ბაქრაძე ჩერდება მევენახეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაძლიერების საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ერთგვარი მუშაობა გასწია ცალკეული აქტუალური საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად, მევენახეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევ საქმიანობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა ვენახებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ვაზის მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლისათვის.

ამხ. ბაქრაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ყუჯიაშვილმა** აღიარა, რომ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ოლქში ვენახების მოვლის მხრივ ცუდი მდგომარეობაა. ეს მაშინ, როცა თბილისის ოლქში ვაზი ერთ-ერთი წამყვანი, მთავარი კულტურაა. ამხ. ყუჯიაშვილმა განაცხადა, რომ მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ გამოასწორონ სამარცხვინო მდგომარეობა მევენახეობაში, აღკვეთონ ვენახების სამუშაოთა შეუფასებლობა და საუკეთესოდ დააყენონ ვენახების მოვლა-პატრონობა. ამხ. ყუჯიაშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ოლქის მშრომელთა სახელით სიტყვა მისცა, რომ მოვლის გაუმჯობესებითა და მაღალ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით 1953 წელს ოლქში ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანენ 50 ცენტნერ ყურძენს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. ჭელიძემ** აღნიშნა, რომ ოლქის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს ვენახების მოვლის საქმეს და არადამაკმაყოფილებლად იბრძვის მევენახეობის განვითარებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რეზერვის მთლიანად გამოსაყენებლად მოსავლიანობის გადიდებისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტი, — ამბობს ამხ. ს. ჭელიძე, — აღკვეთავს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ვენახების მოვლისადმი, გაჩაჭრით გაუმჯობესებს ხელმძღვანელობას მევენახეობის განვითარებისადმი, უფრო ქმედითად დაეხმარება პარტიის რაიონულ კომიტეტებსა და კოლმეურნეობებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მთელი მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე აყვანით უზრუნველყოფს ჰექტარზე საშუალოდ ოლქის მასშტაბით მომავალ წელს 50 ცენტნერი ყურძნის მოყვანას.

ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ს. საყვარელიძემ** სწორად ცნო კრიტიკა იმის შესახებ, რომ ოლქში ვენახების მოვლის მხრივ არსებით ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. მან განაცხადა, რომ საოლქო საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადამჭრელ ზომებს ვენახების პირუტყვისაგან დაცავად და სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის. მან ოლქის მშრომელთა სახელით თათბირზე პირობა დადო, რომ 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ ოლქში მიღებულ იქნება 50 ცენტნერი ყურძენი.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **შ. ჭანუყვაძემ** აღნიშნა, რომ საოლქო კომიტეტი მომავალში უფრო კონკრეტულად უხელმძღვანელებს მევენახეობის რაიონებს და უზრუნველყოფს ვენახების საუკეთესოდ მოვლას. ჩვენ ოლქს, — თქვა მან, — განზრახული აქვს ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებას თბილისის ოლქთან და შეჯიბრების პირობად აყენებს მომავალ წელს ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი ყურძნის მოყვანას.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ჭანდარიამ** თათბირს მოუთხრო, რომ უკანასკნელ წლებში აფხაზეთში სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა მევენახეობის განვითარებას. მან დააყენა საკითხი ვაზის სუფრის ჯიშების მყნობის უზრუნველსაყოფად საკვირტე მასალის მიწოდების შესახებ.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. გოგოლაშვილმა** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც ხორციელდება მევენახეობის წინ წასაწევად. მან თქვა, რომ აჭარაში მეტი ყურადღება დაეთმობა ჩხავერის გაშენებას.

— უკანასკნელად ვენახების მოვლისადმი ყურადღების შესუსტების შედეგად, — თქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. იმნაძემ**, — მოსავლიანობა დაეცა. ამ მდგომარეობის აღსაკვეთად საოლქო კომიტეტი ენერგიულ ზომებს იღებს. ოლქში სანერგე მეურნეობის მხრივ კარგი მდგომარეობაა. ვაზის სადედე გაშენებულია 19 ჰექტარზე და ნერგებით ოლქი ახლა უზრუნველყოფილია.

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მდივნის ამხ. **დ. მახარაშვილის** გამოსვლიდან ნათელი გახდა, რომ რაიონში ვენახების სამუშაოებში ჩამორჩენა ისევ გრძელდება, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი რაიონისათვის წამყვანი დარგის — მევენახეობის შეუფასებლობას იჩენს. აღიარა რა რაიკომის ცუდი მუშაობა ვენახების მოვლის საქმეში, ამხ. მახარაშვილმა სიტყვა მისცა ცენტრალურ კომიტეტს, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი ძირეულად გარდაქმნის მუშაობას და უახლოეს ხანში მიაღწევს მკვეთრ გარდატეხას ამ დარგში, მთლიანად გამოიყენებს მოსავლიანობის გადიდების ყველა საშუალებას. მან რაიონის მშრომელთა სახელით იკისრა ვალდებულება — მომავალ წელს რაიონში ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 60 ცენტნერი ყურძენი.

თათბირზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მუშაობა. გურჯაანი მევენახეობის ძირითადი რაიონია. მისი ხვედრითი წონა მევენახეობაში თვალსაჩინოა. მიუხედავად ამისა, როგორც ეს თათბირზე აღინიშნა, ვენახების მოვლა ძალიან ცუდად არის დაყენებული. პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ მევენახეობის სამუშაოებისადმი. ეს აშკარად იგრძნობოდა თათბირზე პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივნის ამხ. **ა. დავითაშვილის** გამოსვლიდან. მან გვერდი აუარა და არაფერი თქვა ჩამორჩენის მთავარ მიზეზებზე, სახელდობრ, იმ შეუწყნარებელ მდგომარეობაზე, რომ რაიონში კვლავ სუსტად იბრძვიან კოლმეურნეობებში შრომითი რესურსების გამოსაყენებლად, რომ შრომისუნარიან კოლმეურნეთა თითქმის ნახევარს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მესამე პერიოდში გამომუშავებული არ აქვს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

ამხ. დავითაშვილმა განაცხადა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი საჭირო დასკვნას გააკეთებს შექმნილი მდგომარეობიდან და მომავალში გამოიყენებს იმ დიდ შესაძლებლობებს, რაც კოლმეურნეობებს აქვთ ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად. მან სიტყვა მისცა ცენტრალურ კომიტეტს ისე წარმართონ მუშაობა, რომ მომავალ წელს უზრუნველყონ რაიონში ჰექტარზე საშუალოდ 65 ცენტნერი ყურძნის მოყვანა.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. **ზ. კიკნაძემ** თქვა, რომ რაიონში ცუდად მუშაობენ მევენახეობის დარგში, მოუვლელობის შედეგად მოსავალი დაბალია. ზესტაფონი მევენახეობის ერთ-ერთი წამყვანი რაიონია. ვაზის კულტურას დიდი ადგილი უკავია კოლმეურნეობათა ეკონომიკაში. ამხ. კიკნაძემ განაცხადა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი სწრაფად გამოასწორებს სერიოზულ ნაკლოვანებებს, მთლიანად გამოიყენებს შინაგან რეზერვებს, და პირობა დადო უზრუნველყონ მომავალ წელს ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი ყურძნის მოყვანა.

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის მდივანმა ამხ. **ლ. ჯავახიშვილმა** განაცხადა, რომ 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მოიყვანენ 50 ცენტნერ ყურძენს.

მცხეთელი მევენახეები ჰექტარზე მიიღებენ 40 ცენტნერ შამპანური ჯიშის ყურძენს, — თქვა თათბირზე საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივანმა ამხ. **ა. ხუჯაძემ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს შამპანკომბინატის დირექტორმა ამხ. **ნ. ჟღენტმა** და საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრმა ამხ. **გ. ალავიძემ.**

* * *

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ი. მგელაძემ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა

— ვენახების მდგომარეობის შესაბამოწმებლად ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის მუშაობის შედეგები და თათბირის მონაწილეთა გამოსვლები, — ამბობს ამხ. მგელაძე, — მოწმობენ, რომ მევენახეობა ჩვენში აშკარად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

რა არის ამის მიზეზი? პასუხი შეიძლება ხხოლოდ ერთი იყოს: უპასუხისმგებლობა, ლიბერალიზმი იმათ მიმართ, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი მუშაობის ნაკლოვანებებში, სახელმწიფო გეგმების ჩაშლაში, პარტიის საოლქო კომიტეტებისა და საოლქო საბჭოების აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უუნარობა — მოსთხოვონ რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გამართული, ოპერატიული მუშაობა, განახორციელონ მზრუნველი, ზუსტი ხელმძღვანელობა ჩვენი სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგისადმი, როგორიც არის მევენახეობა.

მევენახეობის შეუფასებლობა, მისადმი გულგრილი დამოკიდებულება დღემდე ვერ დაუძლევია ბევრ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას. პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები და კოლმეურნეობათა გამგეობები მუდმივ ყურადღებას როდი იჩენენ მევენახეობისადმი, არ გრძნობენ ჯეროვან პასუხისმგებლობას ვენახების მდგომარეობისათვის. საოლქო კომიტეტები, საოლქო აღმასკომები და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო საკმაოდ კონკრეტულად არ მუშაობენ მევენახეობის საკითხებზე, სათანადოდ არ სწავლობენ მის საჭიროებებს.

— საჭიროა, — აღნიშნავს ამხ. ა. ი. მგელაძე, — თვითეულმა ჩვენგანმა შეიგნოს, რომ ჩვენ გვაქვს ყველა აუცილებელი პირობა ვენახების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის. მაშასადამე, მთელი საქმე შრომის ორგანიზაციაშია, მთელი საქმე იმაშია, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გავუძლიროთ იმ ადამიანებს, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ვენახების ჯეროვანი მოვლა. ხშირად სწორედ ეს აკლიათ მევენახეობის რაიონების მუშაკებს, რომლებსაც პარტიისა და მთავრობის მიერ დაკისრებული აქვთ მევენახეობის ხელმძღვანელობა, მისთვის ზრუნვა. მაშასადამე, ამ საქმეში, როგორც ხედავთ, ყველაფერი თვითონ ჩვენზეა დამოკიდებული.

ცენტრალური კომიტეტი მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რომ გამოასწოროს მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობა, მოსთხოვს პარტიის საოლქო კომიტეტებს, საოლქო საბჭოების აღმასკომებს, რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ნამდვილ პარტიულ პასუხისმგებლობას ჩვენი მევენახეობის განვითარებისათვის, აღმავლობისათვის, ყურძნის მაღალი, მყარი მოსავლის უზრუნველყოფისათვის.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ მეხუთე ხუთწლედში ყურძნის საერთო მოსავლის გადიდებას 55-60 პროცენტით. ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია ისე, თუ ძირეულად არ გავაუმჯობესეთ ვენახების მოვლა, თუ ზუსტად არ დავიცავით აგროტექნიკის ყველა წესი, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არ დავნერგეთ ვაზის გასხვლის მოწინავე მეთოდები, თუ თვითეულმა კოლმეურნეობამ, თვითეულმა ბრიგადამ, თვითეულმა რგოლმა უთუოდ არ შეასრულა მოსავლიანობის გადიდების გეგმა.

აი ზოგიერთი მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა ცუდად არის დაყენებული ჩვენში ვენახებისა და სანერგეების მოვლის საქმე.

ბევრ რაიონში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სტანდარტული სანერგე მასალის გამოყვანის გეგმებს ვერ ასრულებენ. 1951 წელს მყნობის გეგმა რესპუბლიკაში 99 პროცენტით შესრულდა, 1952 წელს კი მხოლოდ 80 პროცენტით. ზოგიერთი რაიონი წლითიწლობით ფუშავს ამ დიდმნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიების შესრულებას. წელს იგი გორის რაიონში 62,7 პროცენტით შესრულდა, ქარელის რაიონში — 77, ხაშურის — 57,7, ახმეტის — 28,6, მარნეულის — 57,9, საგარეჯოს რაიონში — 72,6 და სამხრეთ ოსეთში — 77,6 პროცენტით.

თუ ჯეროვნად გავერკვევით სანერგე მეურნეობის, ვენახებში ნიადაგის დამუშავებისა და სხვა იმ სამუშაოთა საკითხებში, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ მევენახეობასთან, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ძირითადი სამუშაო თითქმის ყველა რაიონში ჩამორჩენილია.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ძველთაგანვე წარმოადგენდა ვაზის კულტურის ერთ-ერთ მთავარ მსოფლიო კერას და მის სამშობლოსაც კი, რომ მან უმდიდრესი ტრადიციები შექმნა მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში. ეს ჩვენ ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ იმის ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ საქართველო გადავაქციოთ ლაბორატორიად, სკოლად საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებისათვის.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა აღკვეთონ მევენახეობის შეუფასებლობა, სოფლის მეურნეობის ამ დარგისადმი არასწორი, გულგრილი ხელმძღვანელობა; გადაჭრით მოუღონ ბოლო უპასუხისმგებლობას, დაუდევრობას მუშაობაში, მოაგვარონ შესრულების შემოწმება, გააძლიერონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის — აი რა არის პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების ამოცანა.

— ჩვენ, — აღნიშნა ამხ. მგელაძემ, — მევენახეობის აღმავლობისა და განვითარების გეგმის ყოველნაირი შესრულება როდი გვჭირდება. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით და რომელმაც დასახა საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების დიდი პროგრამა, განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის ამ დარგში ჩვენი მუშაობის მიმართულებას, ზუსტად აწესებს ვაზის იმ ჯიშებს, რომლებიც უნდა გავაშენოთ. გეგმა უნდა შევასრულოთ არა იმ ჯიშებით, რომლებიც „ხელს აძლევს“ ზოგიერთ მუშაკს, ვინც საქმეს არასახელმწიფოებრივად უდგება, არამედ ისე, როგორც ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს. საჭიროა გავაშენოთ მხოლოდ ისეთი ჯიშების ვაზი, როგორიც სახელმწიფოს ესაჭიროება. საქმისადმი ასეთი სახელმწიფოებრივი მიდგომა არ არის მთელ რიგ რაიონებში. სწორედ ამიტომ არ სრულდება ასორტიმენტის მიხედვით გაშენების გეგმა.

ამხ. მგელაძე შეეხო პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ვენახების მოსავლიანობის გადიდებას, და აღნიშნა, რომ ამჟამად მთავარი ამოცანაა ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაცია. მევენახეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სამტრესტისა და შამპანკომბინატის ხელმძღვანელებმა თავი ვერ გაართვეს ამ ამოცანას. სიმეჩხრეს უახლოეს ხანშივე უნდა მოეუღოთ ბოლო ვენახების რემონტის გზით.

ჩვენი მევენახეობის რაიონები ძალიან ცოტა ყურძენს იძლევიან. შარშან ყურძნის საშუალო მოსავალი თბილისის ოლქის კოლმეურნეობებში ჰექტარზე 31 ცენტნერს შეადგენდა, ქუთაისის ოლქში—31,5, სამხრეთ ოსეთში — 26,9, აჭარაში — 31,4 და აფხაზეთში — 49,7 ცენტნერს. ცოტა როდია ისეთი რაიონი, სადაც ვენახების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 10 ცენტნერს არ აღემატება. ეს სამარცხვინო ციფრებია ჩვენთვის. ჩვენ ვალდებული ვართ უმოკლეს ვადაში მკვეთრად გავადიდოთ ვენახების მოსავლიანობა, უზრუნველვყოთ ყურძნის უხვი, მყარი მოსავალი.

თბილისის და ქუთაისის ოლქების ხელმძღვანელმა მუშაკებმა პირობა მისცეს ცენტრალურ კომიტეტს, რომ მომავალ წელს ჰექტარზე სულ მცირე 50 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ამ ოლქებს არ ჩამორჩებიან. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობის გადამწყვეტი, წამყვანი რაიონები თბილისისა და ქუთაისის ოლქებია. მათმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ბეჯითად უნდა იმუშაონ, რომ შეასრულონ მევენახეობის განვითარებისა და აღმავლობის დარგში მათ წინაშე დასახული ამოცანები.

კომუნისტებს ძვირფასი წესი აქვთ— მათი სიტყვა საქმეს არ შორდება: გითქვამს — გააკეთე, დაპირება მიგიცია— შეასრულე. ასე გვზრდიდა ჩვენ ამხანაგი ლ. პ. ბერია. მაშასადამე, რაკი დაპირება მიცემულია, ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ვალდებულება შევასრულოთ.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან მოლაყბენი, რომელნიც ბევრს ლაპარაკობენ, წინასწარ ამზადებენ თავიანთ მრავლისაღმთქმელ სიტყვებს, მაგრამ ფაქტიურად არაფერს აკეთებენ. ასეთი მუშაკები არავის არ ესაჭიროება. ისინი უნდა გადავაყენოთ ხელმძღვანელი პოსტებიდან, ვინაიდან მათ შეუძლიათ ყოველი ცოცხალი საქმე ლაყბობაში დასამარონ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ბოლო დროს მიღებული ბევრი კარგი გადაწყვეტილება შესრულებული არ არის, მაშასადამე, ყველა ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკი როდია მინდობილი საქმის კარგი შემსრულებელი და ორგანიზატორი.

ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ისინი, ვინც არ უზრუნველყოფს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ვინც არღვევს პარტიულ და სახელმწიფოდისციპლინას, რომ ამისათვის სასტიკად აგებენ პასუხს. მომდინარე წელს ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი ზომები მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევთა წინააღმდეგ. ასეთივე ზომები იქნება მიღებული იმათ მიმართ, ვინც არ უზრუნველყოფს მევენახეობის განვითარების გეგმის შესრულებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას. ჩვენ მოვალენი ვართ აუცილებლად, პირნათლად შევასრულოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ამის უზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ მცოდნე, გაბედულ მუშაკებს, რომლებსაც უნარი შესწევთ პარტიულად უხელმძღვანელონ საქმეს, რომლებსაც შეუძლიათ უთუოდ შეასრულონ, განახორციელონ პარტიის თვითეული გადაწყვეტილება, ამხანაგ სტალინის თვითეული მითითება.

ამხ. მგელაძე შემდეგ ლაპარაკობს საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს მიერ მევენახეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საჭიროებაზე. ამ სამინისტრომ ისე უნდა მოაწყოს მუშაობა, რომ რაიონებს არ შეეძლოთ წაუყენონ რაიმე პრეტენზიები იმის შესახებ, რომ მას დროულად არ შეაქვს მასალები—ქიმიკატები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სხვ. ხოლო თუ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დროზე არ გაიტანენ მასალებს, იქნება ეს სასუქები თუ შაბიამანი, მავთული თუ სპეციალური ინვენტარი, ამის შესახებ საკითხი უნდა დაისვას ცენტრალურ კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში, ეცნობოს პარტიის საოლქო კომიტეტებს, საოლქო აღმასკომებს. მაგრამ ამას უნდა გვატყობინებდნენ არა მაშინ, როცა საქმე ჩაშლილა, არამედ წინასწარვე, რათა შესაძლებელი იყოს საქმის ჩაშლის თავიდან აცილება.

შეეხო რა ვენახებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს, ამხ. მგელაძემ მკვეთრად გააკრიტიკა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სამართველოს ცუდი მუშაობა.

— სოფლის მეურნეობის საკითხებზე, — ამბობს ამხ. მგელაძე, — მესამე თათბირი გვაქვს, და თვითეულ მათგანზე გვესმის, რომ სამუშაოთა მექანიზაციის საქმე ცუდად არის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დარგში ამხ. მ. გიორგაძეც აღიარებს ამას. აღიარება, ამხანაგებო, კარგი საქმეა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ის, ვინც აღიარებს, ასწორებს შეცდომებს, ახდენს ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, რათა ისინი კვლავ აღარ გაიმეოროს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამხ. გიორგაძე „მეორედ“ აღარ დაუშვებს 1952 წლის შეცდომებს.

კოლმეურნეობებში შრომის ჯეროვანი ორგანიზაციის დროს ადამიანთა არსებული რაოდენობა საკმარისი იქნება ყველა სამუშაოსათვის, მათ შორის ვენახების სამუშაოებისთვისაც. და თუ ჩვენში ვითარება სხვანაირია, ამისათვის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანწილად ჩვენს საოლქო კომიტეტებს ეკისრებათ. ისინი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მევენახეობის რაიონებს, არ სწავლობენ მათი მეურნეობის თავისებურებებს, არ ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებანი.

— საჭიროა აღმოვფხვრათ, — აღნიშნავს ამხ. მგელაძე, — მუშაკთა ორგანიზაციული უმწეობა, ხელმძღვანელ პოსტებზე ყველგან უნდა გვყავდეს გაბედული, მტკიცე, მცოდნე, ნებისყოფიანი ადამიანები. თორემ შეიძლება ისე მოხდეს, როგორც დაემართა ერთ-ერთ ჩვენს საოლქო ხელმძღვანელს. ამას წინათ იგი შემომჩიოდა: „აფრთხილებ ხელქვეითებს, ელაპარაკები მათ, ისინი კი არაფერს აკეთებენო“. რას ნიშნავს ეს? რჩევის მიმცემია ის, თუ ხელმძღვანელი მუშაკი? ზოგჯერ ჩვენი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ადგილებზე მიდიან, მაგრამ ვერ სთხოვენ რაიონულ მუშაკებს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, ვერ ამოწმებენ, თუ ნამდვილად როგორ შესრულდა ეს გადაწყვეტილებანი. უფრო მეტიც, ისინი ზოგჯერ აქებენ იმათ, ვინც მაგრად უნდა

(დასასრული მე-3 გვ

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეცენიერების საკითხებზე

ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვის დასასრული

„დაიტუქსოს“. ასეთი გულკეთილობით ზოგიერთი საოლქო მუშაკი მათ ცუდ სამსახურს უწევს. დროზე და მტკიცედ მიუთითო ამხანაგს მის ცუდ მუშაობაზე — ეს იმას ნიშნავს, რომ თვალი აუხილო მას ნაკლოვანებებზე და დაეხმარო მათს აღმოფხვრაში. განა ჩვენში ცოტა იყო არცთუ ცუდი მუშაკები, რომლებზეც დღეს წარსულ დროში გვიხდება ლაპარაკი? მათთვის დროზე და გადაჭრით რომ მიეთითებინათ, ისინი ახლა გარიყული არ იქნებოდნენ. პარტიული თვალსაზრისით კარგ ხელმძღვანელად ითვლება ის, ვინც კეთილსინდისიერად ასრულებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ვინც ნამდვილად უზრუნველყოფს სახელმწიფო გეგმების შესრულებას.

ორიოდე სიტყვა პრესის შესახებ. უნდა ვუსაყვედურო ჩვენი გაზეთების რედაქციებს, რომ მათ მუშაობაში ზოგჯერ აკლიათ ინიციატივა, ოპერატიულობა, კონკრეტულობა, ამა თუ იმ საჭირბოროტო, მნიშვნელოვანი საკითხის დროზე დაყენების უნარი. მაგალითად, თბილისის საოლქო გაზეთ „გამარჯვების“ რედაქციამ, როცა საქმე მეცენიერებას ეხება, რატომ მწვავედ არ უნდა გააკრიტიკოს რაიკომის პირველი მდივანი, რომელმაც უყურადღებოდ მიატოვა სოფლის მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი უბანი? რატომ მწვავედ არ უნდა დასვას გაზეთში ეს საკითხი?

კარგ რედაქტორს სამახსოვროდ ჩაწერილი უნდა ჰქონდეს, რომელ თვეში რა სამუშაოებია მთავარი, გადამწყვეტი სოფლის მეურნეობაში, რით არის დამახასიათებელი, ვთქვათ, იანვარი, თებერვალი და სხვა თვეები. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ არაფერი არ გამოგვრჩეს, რომ დროზე დავსვათ ყოველი საკითხი.

პრესის ფურცლებზე უნდა ვაკრიტიკებდეთ იმ რაიონებს, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ამით ჩვენი პრესა უნდა ეხმარებოდეს მათ და არა მხოლოდ აწარმოებდეს ჩამორჩენის ან მუშაობის ჩაშლის რეგისტრაციას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი „მეთოდი“, ასეთი რეგისტრატორობა რამდენადმე ახასიათებს როგორც თბილისისა და ქუთაისის საოლქო გაზეთებს, ისე სხვა გაზეთებსაც.

ამხ. ა. ი. მგელაძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა პარტიის საოლქო კომიტეტების მიერ მეცენიერებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

— მე, — ამბობს შემდეგ ამხ. მგელაძე, — გავეცანი თბილისის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომების ოქმებს და იქ ვერაფერი ვნახე იმის შესახებ, მოისმინა თუ არა ბიუროომ თუნდაც ერთხელ მოხსენება, ვთქვათ გურჯაანის რაიკომის მდივნისა მეცენიერების მდგომარეობის შესახებ. დაახლოებით ასეთივეა საქმის ვითარება ქუთაისის საოლქო კომიტეტშიც. რაიკომის მდივანმა კი უნდა იცოდეს, რომ საოლქო კომიტეტი ყურადღებით ადევნებს თვალს რაიკომის მუშაობას. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის მხრივ უნდა იცოდნენ, რომ რაიკომსა და რაიაღმასკომს აინტერესებთ მათი მუშაობა. ეს, უეჭველია, გააძლიერებს პასუხისმგებლობას მუშაობისათვის, და ჩვენ მივაღწევთ სრულ წესრიგს ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე.

ამხ. ა. ი. მგელაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მეცენიერების წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ენენახების მოვლის მკვეთრად გაუმჯობესება, მათი მზრუნველობით დაცვა, მათ გარშემო ღობეების მოწყობა. და, ცხადია, დაშვებულ არ უნდა იქნას, რომ ენენახები საძოვრებად გადააქციონ. საჭიროა ენენახებში შეჰქონდეთ სასუქები, მტკიცედ და ზუსტად ასრულებდნენ ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას, მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა მიღწეულ იქნას სრული წესრიგი სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგში.

— მე დარწმუნებული ვარ, — თქვა დასასრულ ამხ. ა. ი. მგელაძემ, — რომ საქართველოს კომუნისტები, საოლქო კომიტეტების მდივნები და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ჩვენს თათბირს ესწრებიან, იმუშავებენ ისე, როგორც ამას მოითხოვს მუშაობის სტალინური სკოლა, რომელიც საქართველოში დანერგა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. ჩვენ უკვე მომავალ წელს უნდა მოვახსენოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენში მეცენიერების საქმე გაუმჯობესდა, რომ ახლა საკმაოდ კარგი მდგომარეობა გვაქვს, რომ შემდეგში საქმე უფრო და უფრო გაუმჯობესდება, რომ 1953 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ სულ მცირე 50 ცენტნერ ყურძენს. მეცენიერების რაიონების კომუნისტებმა მთელი თავიანთი მუშაობა ამ ამოცანის შესრულებას უნდა დაუქვემდებარონ.

საქართველოს სსრ ხალხური ეკეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსათხოვარ საღამოზე, რომელიც 5 დეკემბერს შედგა პრაღაში, „ლუცერნის“ დარბაზში. სურათზე: (მარცხნიდან) ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ბოგომოლოვი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. რამიშვილი. სურათი გადმობეჭდილია გაზეთ „რუდე პრავოდან“, 7 დეკემბერი, № 327.

ჩვენი ანსამბლი ჩეხოსლოვაკიაში

ნინო რამიშვილი,
ილიკო სუხიშვილი,
სტალინური პრემიის ლაურეატები.

საქართველოს ხალხური ეკეკვის სახელმწიფო ანსამბლი დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას ჩეხოსლოვაკიაში გამგზავრების შესახებ, სადაც იგი უნდა გამოსულიყო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურზე.

ამ საზეიმო დღესასწაულზე, რომელიც გადაიქცა მძლავრი საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის გზაზე დამდგარი ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად, ჩვენ დავყავით ერთი თვე, გავმართეთ 33 კონცერტი პრაღაში, ტეპლიცში, კარლოვი ვარში, ბრნოში, გოტვალდოვში, ბრატისლავში და სხვ. ჩვენი კონცერტები საერთო ანგარიშით 120 ათასზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

ანსამბლის თვითეული გამოსვლა, პრაღის და რესპუბლიკის სხვა მუსიკალური ცენტრების უზარმაზარ, მდიდრულად მორთულ თეატრებში, ფაბრიკა-ქარხნების კლუბების ესტრადაზე თუ სკოლებისა და პიონერთა სასახლეების ფართო დარბაზებში, სადაც ჩვენ დილაობით ვმართავდით კონცერტებს, მუშებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, მოსწავლეებთან ყოველი შეხვედრა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად იქცეოდა. ათეულ ათასობით უბრალო ადამიანი მოეშურებოდა, რათა გამოეთქვა მხურვალე მადლობა საბჭოთა კავშირისადმი თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ფაშისტ ოკუპანტთა უღლისაგან. ჩეხოსლოვაკი ხალხისადმი კეთილშობილური დახმარებისათვის მისი ქვეყნის სწრაფად აღდგენაში.

ჩვენი ანსამბლი რესპუბლიკაში ყოფნის პირველი დღეებიდანვე გარემოსილი იყო ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და მშრომელი საზოგადოებრიობის განსაკუთრებული მზრუნველობით.

პირველივე კონცერტის შემდეგ, რომელიც გაიმართა პრაღაში — სმეტანას სახელმწიფო თეატრში, ჩვენს ანსამბლს გულთბილად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერებისა და ხელოვნების მინისტრი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარე ზდენეკ რ. ნეედლი.

— სიტყვები არ მყოფნის, — წერს ზ. რ. ნეედლი თავის მიმართვაში ანსამბლისადმი, — რომ გამოვთქვა ჩემი აღტაცება სახელმწიფო ანსამბლის მომხიბლავი გამოსვლის გამო...

ეკეკვის მაღალი კულტურა — ვაჟების სპეციალური და ქალებისა სპეციალური — გამომეტყველების მხრივ სადა, ხოლო მხატვრული ფორმით ამაღლებული, მთელი ანსამბლის და ცალკეულ ხელოვანთა სრულყოფილი ოსტატობა და, ბოლოს, მშვენიერი კოსტიუმები — ყოველივე ეს უზრუნველყოფს ანსამბლის დიდ წარმატებას ყველა ქვეყანაში. მით უმეტეს ჩეხოსლოვაკიაში, რომელსაც სულით და გულით უყვარს ქართული ხალხი და იცის ნამდვილი ხელოვნების დაფასება.

ვუსურვებ მთელ ანსამბლს მრავალ წარმატებას ჩეხოსლოვაკიაში შემდგომი მოგზაურობის დროს.

ზდენეკ ნეედლის მიერ გამოთქმული სურვილი ასრულდა — ჩვენს ანსამბლს ყველგან დიდი წარმატება ჰქონდა. აქ გვინდა მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა, რომელმაც გული აუჩუყა ყველა ჩვენს მსახიობს. ეს მოხდა კარლოვი ვარში გამართულ კონცერტზე. კონცერტის ბილეთები, როგორც უკვე ვიცოდით, ერთი კვირის წინათ მთლად გაყიდული იყო. სწორედ კონცერტის დაწყების წინ, როცა დარბაზში სინათლე უკვე ქრებოდა და ჩვენ სცენაზე გასასვლელად ვემზადებოდით, ჩვენთან მოვიდა თეატრის ადმინისტრატორი და გვითხრა, რომ რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე ჩვენი ნახვა უნდოდა ორ მოქალაქეს.

მაშინვე გამოვედით და ვნახეთ ორი მამაკაცი, რომლებსაც სადა ტანსაცმელი ეცვათ. ისინი გლეხები აღმოჩნდნენ.

— ჩვენ, — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, — კარლოვი ვარიდან ორას კილომეტრზე ვცხოვრობთ და ეს არის ჩამოვედით, რომ თქვენი ეკეკვა გვენახა. გთხოვთ — დაგვეხმარეთ ბილეთების შოვნაში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე ვთხოვეთ ადმინისტრატორს დაეშვა ისინი კონცერტზე.

ღრმად აღგვებეჭდა მეხსიერებაში გამოსვლა პატარა ქალაქ ჰანდლოვოს საშუნველო სამუშაოებზე. ეს მოხდა 29 ნოემბერს. მეშახტე კომუნისტების ბრიგადისაგან მივიღეთ წერილი, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „თქვენი ჩამოსვლით თქვენ კიდევ უფრო განამტკიცეთ ჩვენი მჭიდრო მეგობრობა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან, რომლებიც ჩვენთვის მაგალითს წარმოადგენენ ყველაფერში. თქვენ გაგვიძლიერეთ სურვილი ვიმუშაოთ უფრო კარგად, უფრო ბეჯითად, რათა დავაჩქაროთ სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. გმადლობთ, საბჭოთა კავშირის მარად აყვავებული დიდებიდან ჩამოსულო ამხანაგებო! მადლობა ამხანაგ სტალინს იმისათვის, რომ მან შესაძლებლობა მოგვცა განგვეხორციელებინა ჩვენი ოცნება, საბჭოთა ადამიანებისაგან გვესწავლა ცხოვრება და გამარჯვება!“

ჩვენს გამოსვლებს გულთბილად გამოეხმაურა ჩეხოსლოვაკიის პრესაც. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „რუდე პრავოს“ რედაქციამ გამოგვიგზავნა გაზეთის ნომერი, რომელშიც ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი კომპოზიტორი კაარი წერდა: „...მთელი ეს სილამაზე, პოეზია და სიხარული, რომელსაც ასე გულუხვად გვიძღვნიან ქართველი მსახიობები, უეჭველია კიდევ უფრო განამტკიცებს გულითად მეგობრობას ჩეხოსლოვაკ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის“.

ჩვენი ანსამბლი გულითადი მადლიერებით შეინახავს თავის არქივში გაზეთ „პრაცეს“ ნომერსაც, რომელიც პრაღაში ჩვენი პირველი გამოსვლის შემდეგ წერდა: „გვაინტერესებდა, როგორი ხართ? მოუთმენლად გელოდით, ქართველო ძმებო! ხოლო შემდეგ, როცა ვაჟებმა, რომლებიც არწივებს ჰგვანან თავიანთ ხალხურ კოსტიუმებში, და გაშლილი თეთრი ვარდებივით ქალებმა ფერხული ჩაბეს, მაყურებლებმა, რომლებსაც თვალი მოსჭრა ამ სილამაზემ, უდიდესი სიხარული განიცადეს. და ეს სიხარული ყოველ წუთობით იზრდებოდა.

საქართველო, მზიურო საქართველო! სულით და გულით მივესალმებით შენს შვილებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენთან, რომ მომხიბლავად მოგვითხრონ თავიანთი ქვეყნის შესახებ“.

ჩეხოსლოვაკიური ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლები, თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეები ხშირად გვთხოვდნენ გვეჩვენებინა ესა თუ ის ეკეკვა, დავხმარებოდით მის შესწავლაში.

ჩვენმა ანსამბლმა ინახულა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახვითი ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური-პროფკავშირის მიერ მოწყობილი გამოფენა. გამოფენა გახსნილი იყო სლავთა კუნძულზე პრაღაში. გამოფენაზე, რომელსაც ეწოდებოდა „ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა სახვითს ხელოვნებაში“, წარმოდგენილი იყო უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე შექმნილი საუკეთესო ნამუშევრები.

დიდი გემოვნებით გაფორმებული ვიტრინები წიგნის მაღაზიებისა სავსე იყო საბჭოთა ავტორების ნაწარმოებებით. განსაკუთრებით ხშირად ეხედავდით ბორის პოლევოის წიგნებს „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ და „ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ“. ბ. პოლევოი ჩეხოსლოვაკიაში განსაკუთრებით უყვართ—იგი საბჭოთა არმიის იმ ჯარებში იყო, რომლებმაც ჩეხოსლოვაკია გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს. ჩეხურ ენაზე თარგმნილი ვნახეთ აგრეთვე ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა“.

მოკლე ხანში, რაც ჩეხოსლოვაკიაში დავყავით, ჩვენ ძლიერ შევეთვისეთ ამ ქვეყანას, შევიყვარეთ მისი შესანიშნავი, სტუმართმოყვარე ხალხი, და ამიტომ განსაკუთრებით ვღელავდით, როცა 5 დეკემბერს გამოსათხოვარ კონცერტზე გამოვდიოდით პრაღაში, „ლიუცერნის“ დიდ დარბაზში.

კონცერტს ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონინ ზაპოტოცკი და მთავრობის სხვა წევრები.

საღამოს ესწრებოდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ბოგომოლოვი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

... საათის ისარი შუაღამეს უახლოვდება. კონცერტი მთავრდება, სცენაზე უხვად ცვივა ყვავილები, გაისმის შეძახილები: „სტალინ! მშვიდობა! მეგობრობა! მადლობას მოგახსენებთ, შორეული საქართველოდან მოსულო ძვირფასო სტუმრებო! არა მშვიდობით, არამედ მალე ნახვამდე!“. მთელი დარბაზი ფეხზე მდგომი მღერის კომუნისტური პარტიის ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა ჩვენს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „თავისი მაღალოსტატური ხელოვნებით საქართველოს სსრ ხალხური ეკეკვის სახელმწიფო ანსამბლმა ჩეხოსლოვაკიის მთელი ხალხის გული მოინადირა. გულითადი მადლობა მას ამისათვის“.

გამოსათხოვარი კონცერტის შემდეგ მოწყობილ ბანკეტზე ჩვენ ბედნიერება გვქონდა შევხვედროდით ჩეხი რევოლუციონერის, კომუნისტ იულიუს ფუჩიკის მეუღლეს გუსტინა ფუჩიკს. ყველანი გაგვახარა მისმა ენერგიულმა, ხებისყოფით აღსავსე სახემ. ჩეხი ხალხის გმირმა ქალიშვილმა ჩვენს ანსამბლს მტკიცე, დინჯი ხმით მიმართა და უთხრა: „იულიუს ფუჩიკმა ახალგაზრდა სიცოცხლე თავისი საყვარელი ხალხის ბედნიერებას შესწირა. ის ვეღარ მოესწრო იმ დღეს, როცა ჩეხმა ხალხმა ეს ბედნიერება დიდი საბჭოთა ხალხის დახმარებით მოიპოვა“. ამ სიტყვების შემდეგ გუსტინა ფუჩიკმა დღეგრძელობა უსურვა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, და დარბაზში იგრიალა ვაშამ.

...მეორე დღეს ჩვენი ანსამბლი წამოვიდა დაუვიწყარი შთაბეჭდილებით. 14 დეკემბერს ჩვენ უკვე მშობლიურ საქართველოში ვიყავით. ჩვენი კოლექტივი უსაზღვროდ ბედნიერია იმის შეგნებით, რომ მან გაამართლა პარტიის მაღალი ნდობა, რომ მას ხვდა პატივი წარმოედგინა საქართველოს ეკეკვის საუცხოო ოსტატობა ორ მშვიდობისმოყვარე ხალხს შორის მეგობრობის ისტორიულ დღესასწაულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 15 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ცალკეულ უბნებზე აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლი-სინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი.

ვიეტნამის სახალხო არმიის საბრძოლო ნარმავლებანი

შანხაი, 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჩრდილო-დასავლეთ ვიეტნამში, შავი მდინარის ფრონტზე, ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს მტრის 5 ათასამდე ჯარისკაცი, განაგრძეს შეტევა და იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე ნა-სამთან (ფრანგ კოლონიზატორთა უკანასკნელი გამაგრებული პუნქტი სონ-ლას პროვინციაში).

ვიეტნამის სახალხო არმიის ერთ-ერთმა ნაწილმა წინ წაიწია დასავლეთისაკენ და გაათავისუფლა მოწინააღმდეგის ხელში არსებული ქალაქი დიენ-ბიენ-ფუ (150 კილომეტრზე ლაი-ჩაუს სამხრეთ-დასავლეთით), სადაც ხელთ იგდო დიდძალი იარაღი და სურსათი. არასრული ცნობებით, დიენ-ბიენ-ფუსთან ვიეტნამის სახალხო არმიამ ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგის დაახლოებით 400 ჯარისკაცი.

დიენ-ბიენ-ფუ ბრინჯის ერთ-ერთი უმდიდრესი რაიონია ჩრდილო-დასავლეთ ვიეტნამში. დიენ-ბიენ-ფუს განთავისუფლება ვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვებაა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში სახალხო არმიის ნაწილები აქტიურად მოქმედებდნენ პოტსამ-კაპის (აღმოსავლეთი ლაი-ჩაუ) უღელტეხილის რაიონში, სადაც მოსპეს მტრის ძალების ნაწილი.

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ჯარის ნაწილებთან თანამოქმედებით სახალხო ჯარებმა გააძლიერეს თავიანთი აქტივობა ჩრდილოეთ ვიეტნამის ვაკეებზე და ოდენ გამარჯვებას მიაღწიეს.

წინასწარი ცნობების თანახმად, 25 ოქტომბრიდან ნოემბრის დამლევამდე ჩრდილოეთ ვიეტნამის ვაკეებზე მოქმედმა სახალხო ნაწილებმა მოსპეს მტრის ხუთი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უნგრეთის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების მორიგი სესია.

სესიამ მოისმინა და დაამტკიცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ანგარიში, რომელიც გააკეთა პრეზიდიუმის მდივანმა პიროშკა სბომ, ორ სესიას შორის განვლილი პერიოდის მუშაობის შესახებ.

სესიის დღის წესრიგშია სახელმწიფო სტატისტიკის კანონპროექტის განხილვა და 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

სხდომაზე მოხსენება უნგრეთის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ გააკეთა უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მატიას რაკოშმ.

რაკოშმ თავის მოხსენებაში დაახასიათა უნგრეთის წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, თქვა მან, შემოსავლის ნაწილში განზრახულია დადგენილ იქნას 52.539 მილიონი ფორინტის რაოდენობით, ე. ი. 10 მილიარდი ფორინტით მეტი, ვიდრე 1952 წელს. შემოსავალი გასავალს გადააჭარბებს 875 მილიონი ფორინტით. 1952 წლის 11 თვეში ქვანახშირის ამოღება გადიდდა 22,2 პროცენტით, ბოქსიტებისა — 58 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა — 14 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოება — 20,3 პროცენტით და სხვ. სამრეწველო წარმოება მთლიანად წლის დამლევისათვის უნდა გადიდდეს 22 პროცენტით.

სოფლის მეურნეობამ გეგმა ვერ შეასრულა გვალვისა და ყინვების გამო. ასეთი არახელსაყრელი ამინდის დროს კაპიტალიზმის პირობებში შიმშილობა იქნებოდა, თქვა მატიას რაკოშმ, ხოლო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში რეზერვების გამოყენებით, მეგობრული ქვეყნების და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის დიდი დახმარების მეოხებით სახალხო მეურნეობამ თავი დააღწია ძნელ მდგომარეობას.

უნგრეთის მთელი მშრომელი ხალხი, თქვა მატიას რაკოშმ, უდიდესი ყურადღებითა და სიმპათიით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მუშაობას. ჩვენს ხალხში ძლიერდება მადლობის გრძნობა საბჭოთა კავშირისადმი — ჩვენი განვითავისუფლებლისადმი იმ ძმური უანგარო დახმარებისათვის, რასაც იგი უნგრეთს უწევს.

დასასრულ მატიას რაკოშმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრელი ხალხი თავდაღებული შრომით გაამართლებს მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი „დამკვრელი ბრიგადის“ საპატიო სახელწოდებას.

გაძლიერებულ სიძნელეთა პირობებში

ეგრეთწოდებული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესია

პარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პარიზში გაიხსნა ეგრეთწოდებული აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესია. სესიის დღის წესრიგშია როგორც უადრესად საზეიმო, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები. როგორც ფრანს პრესის საგანგებო ცნობიდან ირკვევა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა და იტალიის პრემიერ-მინისტრმა დე გასპერიმ თავიანთ სიტყვებში გამოთქვეს შეშფოთება გამალებული შეიარაღებისადმი ხალხთა უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

პრესის გამოხმაურებათა მიხედვით, ატლანტიკის ბლოკის საბჭოს პარიზის სესია მიმდინარეობს გაძლიერებულ სიძნელეთა და იმპერიალისტებს შორის წინააღმდეგობის გამწვავების ვითარებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ფრანგული გაზეთების მიერ დაბეჭდილი განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონისა, რომელმაც პარიზს გამგზავრების წინ მეტად პესიმისტური აზრი გამოთქვა პარიზის თათბირის შესახებ. „არა მგონია,—თქვა მან, — რომ ეს იქნეს ისეთი თათბირი, რომელზეც გაკეთებულ იქნება რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნები“.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა კულტურული მომსახურების შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა 1952-1953 სასწავლო წლის საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა კულტურული მომსახურების საკითხი. პრეზიდიუმმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა: არდადეგების პერიოდში საწარმოების ყველა კლუბში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებსა და მუშათა საერთო საცხოვრებლებში მოაწყონ საახალწლო ნაძვისხე, საბავშვო დილები, თემატური და თხრობითი საღამოები, ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ფართო ჩვენება.

ბავშვებისათვის მოაწყონ საუბრები და კინოფილმების ჩვენება საბჭოთა ხალხის დიდი ბელადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, ჩვენი სამშობლოს გმირული წარსულისა და აწმყოს, კომუნიზმის დიადი მშენებლობების, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლის შესახებ.

უზრუნველყონ ბავშვთა შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან, წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან, პოეტებთან და მსახიობებთან, ბავშვთა ექსკურსიები ისტორიული ადგილებისა და მუზეუმების დასათვალიერებლად, კოლექტიური დასწრება თეატრებში, სპორტული შეჯიბრებები, მასობრივი თამაშობანი.

1953 წლის 1-დან 10 იანვრამდე სკოლის ასაკის ბავშვებისათვის უნდა მოეწყოს საერთო-საქალაქო საახალწლო ნაძვისხე რესპუბლიკის ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სუხუმში, სტალინირში, ფოთში, რუსთავში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულსა და ტყვარჩელში.

ხაშურის რკინიგზის ტექნიკის კაბინეტი პირველ ადგილზე

ხაშური. (საკ. კორ.). კარგად მოწყობილი ტექნიკის კაბინეტი აქვს ხაშურის რკინიგზის კვანძს. მნახველთა ყურადღებას იპყრობს კაბინეტში გამოფენილი რკინიგზის ტრანსპორტის ამსახველი მოდელები, ექსპონატები და პლაკატები, ხაშურის საელმავლო დეპოს სახელმოხვეჭილი ოსტატის ნ. ტყეშელაშვილის მიერ დამზადებული სხვადასხვა სისტემის ფერადი ლითონის ავტომუხრუჭების ჭრილები.

კაბინეტს აქვს ტექნიკური ხასიათის წიგნებითა და ჟურნალებით მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც ფართოდ სარგებლობენ რკინიგზელები.

წელს ტექნიკის კაბინეტი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს. დღემდე მოეწყო ტექნიკური ხასიათის 353 ლექცია, რომლებსაც 2.427 რკინიგზელი დაესწრო. 14-ჯერ გაიმართა კონფერენცია ერთ-ერთ კონფერენციაზე განხილულ იქნა ლიუბლინოელი ნოვატორების ჟანდაროვასა და აგაფონოვას, მატარებლის გამსინჯველ ა. შეგლიკინის მეთოდები, რომლებმაც დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა ხაშურის რკინიგზის კვანძის საწარმოებში.

კაბინეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს ტექნიკური კინოფილმების ჩვენებას. 170 კინოფილმს, რომლებიც წელს იქნა ნაჩვენები, დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ნაჩვენები იყო კინოფილმები: „სიგნალიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე“, „უკანასკნელი მატარებელი“, „დაკავებული ლიანდაგი“, „საშიშარი რეისი“, „ძველი მემანქანის ნაამბობი“ და სხვა.

ტექნიკის კაბინეტი ენერგიულ დახმარებას უწევს ხაშურის რკინიგზის კვანძის სტახანოვურ სკოლებს, რომლებიც წელს წარმატებით დაამთავრა 277 რკინიგზელმა. ამჟამად სტახანოვურ სკოლებში 120 კაცი სწავლობს.

მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით ხაშურის რკინიგზის კვანძის ტექნიკის კაბინეტმა ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკის კაბინეტებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე

14 დეკემბრის დღის სხდომა

ვენა, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დილის სხდომა გახსნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ **სუნ ძინ-ლინმა.** მან სიტყვა მისცა ვენესუელის „დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტის“ თავმჯდომარეს გენერალ **ხოსე რაფაელ გაბალდონს.**

გენერალმა გაბალდონმა თქვა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებმა უნდა მიმართონ თავიანთ მთავრობებს მოთხოვნით — უარი თქვან ამ ქვეყნებისათვის უცხო ხელშეკრულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ომისათვის მზადებასთან. მან მხარი დაუჭირა მოწოდებას — „ჩვენს შვილებს კორეაში არ გავგზავნით!“, რომელიც გამოხატავს ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა ხალხის გრძნობებს.

შემდეგ ორატორმა ამხილა ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც გააჩაღეს ბინძური ომი კორეაში, და განაცხადა, რომ ისინი, ვინც ომებს აჩაღებენ, დამამშვიდებელი პერანგის ღირსი არიან.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის მუსლიმანთა წარმომადგენელი **ახუნდ ალა ალი-ზადე,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან. მან თქვა, რომ წილად ხვდა პატივი — გამოხატოს საბჭოთა კავშირის მუსლიმანთა უსაზღვრო მისწრაფება დედამიწის ყველა ხალხთა ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისადმი.

ორატორმა დაწვრილებით უამბო შეკრებილთ მილიონობით მუსლიმანთა ცხოვრებასა და მშვიდობიან შრომაზე საბჭოთა კავშირში, იმაზე, თუ როგორ ერთებენ ისინი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად მდინარეებსა და ზღვებს, რწყავენ უნაყოფო უდაბნოებს და აყვავებულ ყანებად აქცევენ მათ.

მე და ჩემს თანამედროვეებს, თქვა ალი-ზადემ, ალაჰის ნებით, წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება მოვსწრებოდით იმ დროს, როცა ჩემი თვალით შემიძლია ვნახო, რომ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, ხოლო მათს შეხმატკბილებულ ოჯახში მუსლიმანებმაც მოიპოვეს თავისი ბედნიერება დედამიწაზე.

მაგრამ ჩემი ბედნიერება, განაგრძო ალი-ზადემ, სრული ვერ იქნება, სანამ ვხედავ, რომ ჩვენი ძმები, აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის ხალხები, ისეთ პირობებში ცხოვრობენ, რომლებშიც მათ არა აქვთ შესაძლებლობა აშენონ თავიანთი ცხოვრება საკუთარი სურვილისამებრ, როცა ისინი იძულებულნ არიან იბრძოლონ იმისათვის, რომ მოიპოვონ თავიანთი ქვეყნის რესურსების თავისუფლად განკარგულების უფლება, როცა უზრუნველყოფილი არ არის მათი ტერიტორიის უშიშროება და ხელშეუხებლობა. ჩვენდა სამწუხაროდ, დასძინა ორატორმა, სულიერ ხელმძღვანელთა უმრავლესობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ განზე უდგას მშვიდობის დაცვის წმიდა საქმეს.

ალი-ზადემ მოუწოდა მუსლიმანური ქვეყნების სულიერ ხელმძღვანელებს და ყველა მორწმუნეს დაიცვან ხალხთა შორის მშვიდობა, რადგან მშვიდობის მომხრეთა მხარეზეა სიმართლე და სამართლიანობა.

შემდეგ გამოვიდა ავსტრიის დელეგაციის წევრი პროფესორი **დობრეტსბერგერი.** ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ჟოლიო-კიურის იმ სიტყვების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის საუკეთესო გარანტიაა მისი დამოუკიდებლობა და არა შეყვანა ეგრეთწოდებულ „თავდაცვითს სისტემაში“, რომელიც თვით ამ ქვეყნის ნების საწინააღმდეგოდ სხვა ქვეყნებთან შეტაკებაში, კონფლიქტში აბამს მას. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილებამ, რომლებიც ჩაბმული არიან ყოველგვარ „თავდაცვითს“ პაქტებსა და კავშირებში, ვერ გამოიწვია საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესება, არამედ, პირიქით, გააძლიერა მისი დაძაბულობა. აი ამიტომ დასავლეთ ევროპის ხალხები სულ უფრო მტკიცედ იბრძვიან ყოველგვარი სამხედრო პაქტების, ბლოკებისა და გაერთიანების წინააღმდეგ.

პროფესორმა დობრეტსბერგერმა აღნიშნა, რომ როცა განიხილავენ კონგრესის დღის წესრიგის პირველ პუნქტს ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და უშიშროების შესახებ, საჭიროა ავსტრიას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. ცივ ომში ჩათრეული ჩვენი ქვეყანა, თქვა მან, მძიმე ეკონომიკურ უბედურებას განიცდის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ხალხის სასარგებლოდ როდი ხდება. თუ წინათ ჩვენ ვაწარმოებდით მზა საქონელს, რის სანაცვლოდაც ვიღებდით კვების პროდუქტებსა და ნედლეულს, დღეს სულ უფრო მეტი ნედლეული და ნახევარფაბრიკატი გაგვაქვს დასავლეთში. ეს იწვევს უმუშევრობის ზრდას და პასიურ სავაჭრო ბალანსს.

უცხო სამხედრო სახელმწიფო ჩვენს ქვეყანაში აგებს ისეთ ობიექტებს, რომლებიც დაძაბულობის გართულების შემთხვევაში საფრთხეს შეუქმნიან ავსტრიელების სიცოცხლეს. ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ, პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებს ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიან და ამავე დროს ქმნიან სამხედრო და ფაშისტური ტენდენციების აღორძინების პირობებს. პრესა და რადიო საზოგადოებრივ აზრს ერთი მიმართულებით ამუშავებენ. აღვივებენ სიძულვილს სხვა ერებისადმი. მაგრამ შეიძლება სიხარულით აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ფართო ფენები აღარ უგდებენ ყურს ამ ყალბ პროპაგანდას და მოქმედებენ ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ავსტრიის დელეგაცია კონგრესს სთხოვს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის რეზოლუციაში შეიტანოს შემდეგი პუნქტი:

„ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი მხარს უჭერს ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების დაუყოვნებლივ განახლებას ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ, რომლის ძირითად პუნქტებზე მათ უკვე მიაღწიეს ერთიანობას. ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი მხარს უჭერს ყველა მისწრაფებას, რომელთა მიზანია ამ მოლაპარაკების რაც შეიძლება მალე და წარმატებით დამთავრება, რაც შესაძლებლობას იძლევა გაყვანილ იქნან ავსტრიიდან საოკუპაციო ჯარები და უზრუნველყოფილ იქნას ავსტრიის დემოკრატიული უფლებები და დამოუკიდებლობა“.

დელეგატებმა დაძაბული ყურადღებით მოისმინეს კორეის დელეგატი ქალის **კინ ენ სუნის** სიტყვა. მან ილაპარაკა კორეელი დედებისა და ცოლების მწუხარებასა და ტანჯვაზე, მთელი კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. კინ ენ სუნმა მოიყვანა მთელი რიგი მკაფიო ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ კორეაში ამერიკელ ინტერვენტთა მხეცობას, რომლებიც ულმობლად სპობენ მშვიდობიან მოსახლეობას, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. მაგალითად, მათ ბარბაროსულად დაბომბეს პატარა დაბა, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ იყო. მათ 40-ზე მეტი ბომბი დააყარეს ამ დაბას, სადაც იყო მხოლოდ ობოლთა სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ იმ კორეელ მებრძოლთა შვილები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას, და რამდენიმე სოფლური სახლი. დაბომბვის შედეგად მოკლულ იქნა 43 ბავშვი და დაიჭრა 17 ბავშვი.

კინ ენ სუნმა ილაპარაკა აგრეთვე ერთი კორეელი დედის ტრაგიკულ ბედზე. ამერიკელებმა მას ხელში გამოსტაცეს და მოუკლეს შვილი. მათ თვალები დათხარეს მოკლულ ბავშვს და აიძულებდნენ დედას შეეჭამა ისინი. უბედური დედა ავაზაკებს ეცა და მოკლულ იქნა.

შეიძლებოდა ბევრი ასეთი მაგალითი მოგვეყვანა, თქვა კინ ენ სუნმა. წყეული ამერიკელები თვითმფრინავებიდან ყრიან დასენიანებულ საგნებს: კალმსტარებს, ფანქრებს, ტაბილეულობას, რათა დააავადონ კორეელი ბავშვები. კინ ენ სუნმა კონგრესს მოაგონა, რომ მთელ ამ მხეცობას სჩადიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით, რომ ამ დანაშაულებრივ მოქმედებას ასაღებენ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არმიის „საბრძოლო წარმატებებს“. ამერიკის პატიოსანო ქალებო!—შესძახა მან. თქვენ ლაპარაკობთ თავისუფლებაზე. თქვენ შეძრწუნდებით ხოლმე, თუ თქვენში, ამერიკაში, ვინმემ მოკლა ბავშვი ან ქალი. მაგრამ ნუთუ არ იცით, რომ თქვენი ქმრები და შვილები კლავენ კორეელ ბავშვებსა და ქალებს, წვავენ კორეის მშვინიერ ქალაქებსა და სოფლებს? თქვენი ქმრებისა და შვილების სახეს აჩნევია აგრესორებისა და მკვლელების სამარცხვინო დაღი. ისინი სამუდამოდ დასწყევლა კორეელმა ხალხმა. რათა გზავნით სასიკვდილოდ სიყვარულით აღზრდილ თქვენს შვილებს? კორეელი ხალხი არასოდეს არ აპატიებს მათ ამდენ ბოროტმოქმედებას, და ისინი განწირული არიან უსახელოდ დაღუპვისთვის.

დასასრულ კინ ენ სუნმა განაცხადა, რომ საჭიროა მოვითხოვოთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კორეაში და იქიდან გამოყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, თქვა მან, უნდა მოითხოვოს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადება, რადგან ეს უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობას.

ყველა დელეგატი ფეხზე ადგომით მქუხარე ტაშით მიესალმება კინ ენ სუნს.

კონგრესის დელეგატმა პოლონელმა მწერალმა **ივაშკევიჩმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა ხალხთა დამოუკიდებლობისა და უშიშროების საკითხებს. მან დახატა აფრიკისა და ლათინური ამერიკის კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ხალხთა მდგომარეობა. ეს კონტინენტები, აღნიშნა მან, საუკუნეთა მანძილზე იძულებული არიან ითმინონ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყველა სიშინელება. მშვიდობის შენარჩუნების მიზნით საჭიროა, რომ ყველა ხალხს მიენიჭოს ეროვნული დამოუკიდებლობა.

ივაშკევიჩმა ხალხთა შორის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის მაგალითად მოიყვანა პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა.

შემდეგ გამოვიდა ათენის უნივერსიტეტის პროფესორი, საბერძნეთის მთავრობის ყოფილი მინისტრი **კოკალისი.** მან თქვა, რომ საბერძნეთის ახლანდელმა მმართველებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა ხელი შეეშალათ საბერძნეთის დელეგაციისათვის ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე გამგზავრებაში. მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

ჩვენი ხალხი, განაცხადა მან, არასოდეს არ შეწყვეტს ბრძოლას თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. იგი ყოველი ღონით იბრძვის, რათა ჩაშალოს ომის გამჩაღებელთა გეგმები. საბერძნეთში ყველგან შეიძლება ნახოთ ბერძენ პატრიოტთა მიერ გაკეთებული წარწერები: „მშვიდობა, ამნისტია, თავისუფლება!“, „ბოლო მოვუღოთ ამერიკულ ოკუპაციას!“.

კოკალისმა თავისი სიტყვის დასასრულს წაიკითხა კუნძულ კორფუზე მყოფი 400 სიკვდილმისჯილი ბერძენი პატრიოტის მისალმება კონგრესისადმი. მისალმებაში, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენი ადგილი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე ცარიელი არ დარჩება. თუ სიძულვილის ზღუდეები გზას გვიღობავენ, ხელში ავიყვანთ თეთრ მტრედებს და გავუშვებთ, რათა ისინი მიფრინდნენ ჩვენს კონგრესზე და იქიდან მოედონ მთელ მსოფლიოს. ჩვენ მოველით, რომ ისინი მოგვიტანენ თქვენს წერილს. მილიონობით ნორჩი და ჯულმხურვალე ბერძენი გაერთიანდა მშვიდობისათვის მებრძოლთა უძლეველი დროშით. თქვენი წერილების მოლოდინში ვიჯონებთ ჩვენს მსხვერპლს, ჩვენი სამშობლოს ბრძოლას, რაც გზას უკაფავდა საბერძნეთის ეროვნულ თავისუფლებას. სირცხვილი ომს, გამარჯვება ხალხებს, მშვიდობა მსოფლიოს!.

შემდეგ გამოსულმა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ტოდორ პავლოვმა** აღნიშნა ფართო წარმომადგენლობითი ხასიათი ბულგარეთის დელეგაციისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენისა და რწმენის ადამიანები. ეს დელეგაცია, თქვა მან, კონგრესზე ჩამოვიდა, რათა გულწრფელად და ეფექტიანად მიიღოს მონაწილეობა კეთილი ნების ყველა ადამიანის დიდი გაერთიანების საქმეში და ხელი შეუწყოს იმ მრავალ დაბრკოლებისა და გაუგებრობის აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან მშვიდობისათვის ბრძოლას.

პავლოვმა რწმენა გამოთქვა, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი ხელს შეუწყობს მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერებას, რადგან ეს არის დიდი მოვალეობა, რასაც მშვიდობის ყველა მომხრეს უკარნახებს თანამედროვე დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა, როცა კაცობრიობის ბედი წყდება. ორატორმა მოუწოდა კონგრესის მონაწილეებს იბრძოლონ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, ყველა ხალხის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის.

დილის სხდომის დასასრულს მოკლე სიტყვა წარმოთქვა ინგლისელმა ლეიბორისტმა ქალმა ბრისტოლმა.

— მალაიის წარმომადგენელს, იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომლის ხალხი უკვე რამდენიმე წელიწადია შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა იმპერიალისტ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

შეეხო რა იმ ომის ისტორიას, რომელიც ინგლისელმა იმპერიალისტებმა 1948 წელს დაიწყეს მალაიელი ხალხის წინააღმდეგ, ჩან სუატ ხონგმა დელეგატებს უამბო, თუ რა მხეცური მეთოდებით ცდილობენ ინგლისის ჯარები ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით ჩაახშონ მალაიის ხალხთა ბრძოლა. მიმდინარე წლის სექტემბრამდე, ამბობს იგი, 50 ათასზე მეტი მალაიელი პატრიოტი მოკლეს, დააპატიმრეს ან გადაასახლეს, ხოლო 500 ათასამდე გლეხი გარეკეს ეგრეთწოდებულ „დასახლების რაიონებში“, რომლებიც ფაქტიურად საკონცენტრაციო ბანაკებს წარმოადგენენ. ინგლისის თვითმფრინავები ბომბავენ მალაიის სოფლებს, ინგლისელი დამპყრობლები მომწამლავი ნივთიერებებით სპობენ ნათესებს, რაც იწვევს შიმშილისა და სიღატაკის შემდგომ გაძლიერებას.

მალაიელი ხალხის ბრძოლა კოლონიური მონობის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა ჩან სუატ ხონგმა, ამავე დროს არის ბრძოლა საყოველთაო მშვიდობისათვის.

სიტყვას ამბობს გერმანელი პასტორი **ესენი** — ქალაქ დუისბურგის მცხოვრები. იგი დელეგატებს მიესალმება ჰესენის ევანგელიკური ეკლესიის მეთაურის დოქტორ **ნიმელერის** სახელით, რომელმაც ვერ შეძლო დასწრებოდა კონგრესს. ნიმელერი მოუწოდებს კონგრესის მონაწილეებს გარკვევით განაცხადონ, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები ილაშქრებენ ერებს შორის სიძულვილის გაღვივების წინააღმდეგ, და გამოიყენონ ყოველი გზა, რომელსაც მშვიდობის დამყარებისაკენ მივყავართ.

ესენმა თქვა, რომ იგი კონგრესს მიმართავს ორი მოწოდებით. პირველი, ყველაფრის მიუხედავად, აღადგინონ ურთიერთობა და ერთად მშვიდობიანად აშენონ ხალხთა ახალი ცხოვრება. მეორე, დაეხმარონ გერმანიას, რომ მან მიიღოს საზავო ხელშეკრულება, და მიაღწიონ მის გაერთიანებას.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ტრაიან სავულესკუმ,** რომელმაც განაცხადა, რომ რუმინელი ხალხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას, როგორც მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

სავულესკუ ცალკე შეეხო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემას, აღნიშნა რა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ქვეყნის უფლება — დაამყაროს თანასწორუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან.

მაგრამ, აღნიშნა სავულესკუმ, ბრმასაც კი შეუძლია დაინახოს, რომ ეკონომიკური „ბლოკადის“ პოლიტიკამ არ მოიტანა ის შედეგები, რომლების იმედიც ჰქონდათ მის ამერიკელ ინიციატორებს. აღმოსავლეთ ევროპისა და ჩინეთის ქვეყნების საგარეო ვაჭრობა წლითიწლობით იზრდება. მეორე მხრივ, „ბლოკადა“ არსებით ზარალს აყენებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკას, რომელთა ინტერესებს ანგარიშს არ უწევენ ამერიკის მონოპოლიები.

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის შეზღუდვის პოლიტიკა, აღნიშნა სავულესკუმ, აძლიერებს ომის საფრთხეს. იგი იწვევს იმ ქვეყნების ეკონომიკის ცალმხრივ განვითარებას, რომლებიც იძულებული ხდებიან სამხედრო წარმოებას მიჰყონ ხელი.

არის ცხოვრების ერთი წესი, რომელიც ძვირფასია დედამიწის ყველა ხალხისათვის, — ამბობს სავულესკუ. — ეს არის მშვიდობა. მშვიდობის საქმემ რომ გაიმარჯვოს, ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს. უნდა მივაღწიოთ კეთილი ნების ყველა ადამიანთა ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას.

ადვოკატ **ოსვალდო როდრიგეს ხიმენესის** (კოსტა-რიკა) მოკლე სიტყვა შეიცავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და, კერძოდ, უშიშროების საბჭოს მუშაობის მკვეთრ კრიტიკას. ხიმენესმა განაცხადა: უშიშროების საბჭოს საქმიანობაში საგრძნობი შედეგები რომ არ არის, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დღემდე არ დაუკავებია გაერთიანებული ერების ოჯახში ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესმა, განაცხადა ხიმენესმა, ხალხების სახელით უნდა მოსთხოვოს ყველა მთავრობას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კანონიერი ადგილი დაიკავოს უშიშროების საბჭოში, რაც საშუალებას მისცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეასრულოს თავისი როლი, როგორც მშვიდობის დაცვის იარაღმა.

შემდეგ გამოვიდა ალბანეთის დელეგაციის მეთაური, ალბანეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **ელენი ტერეზი.** მან გადასცა კონგრესს სალამი ალბანელი ხალხის სახელით, რომელიც უკვე რვა წელია ბედნიერად და თავისუფლად ცხოვრობს, და ილაპარაკა, თუ რა შესანიშნავი მიღწევები მოიპოვეს ალბანელმა მშრომელებმა სახალხო ხელისუფლების წლებში.

ბელგრადის, საბერძნეთისა და იტალიის ფაშისტები, როგორც ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა აგენტები, განაცხადა ტერეზიმ, ისე როგორც მათი ბატონები, ცდილობენ მოგვპარონ თავისუფლება და ამერიკის კოლონიად გადააქციონ ჩვენი ქვეყანა. უკანასკნელ სამ წელიწადში ალბანეთის საზღვარზე მოხდა 242 პროვოკაცია, ჰაერში — 651 პროვოკაცია, ზღვაზე — 27 პროვოკაცია. ჰაერიდან 300-ზე მეტჯერ ჩამოყარეს მტრული ფურცლები; არ წყდება ჯაშუშებისა და პროვოკატორების შემოგზავნა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ აძლიერებს ჩვენი ხალხის სიძულვილს ომის გამჩაღებლებისადმი და განამტკიცებს მის გადაწყვეტილებას დაიცვას დამოუკიდებლობა.

კონგრესზე რომ გვგზავნიდა, ამბობს ტერეზი, ალბანელმა ხალხმა დაგვავალა ვიბრძოლოთ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის. ჩვენმა ხალხმა თავისი ეს სურვილი დაადასტურა იმით, რომ 865.885 ხელმოწერა შეაგროვა მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს მიმართვაზე.

ჩვენს ხალხს, თქვა დასასრულ ტერეზიმ, მტკიცედ სწამს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან დედამიწის ყველა ხალხთან ერთად მშვიდობისათვის იბრძვიან საბჭოთა კავშირი და დიდი სტალინი.

ესპანეთის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ხოსე ხირალმა აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ესპანელი პატრიოტების ბრძოლა განუყოფელად დაკავშირებულია ესპანეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან. ხოსე ხირალმა თქვა, თუ როგორ იბრძვის ესპანელი ხალხი ფრანკისტული რეჟიმისა და ამერიკელთა კაბალის წინააღმდეგ, ფაშისტური ტერორის მიუხედავად. ესპანელი ხალხის ეს ბრძოლა სცილდება ეროვნულ ფარგლებს, თქვა მან, რადგან ფრანკისტული რეჟიმის არსებობა საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. ახლა ახალი ძალით გაისმის ესპანეთში ლოზუნგი: „ამერიკელებო, წადით ესპანეთიდან!“. ამერიკელებს ესპანეთი ესაჭიროებათ როგორც სტრატეგიული ბაზა, მათ ესაჭიროებათ მისი ადამიანთა და მატერიალური რესურსები.

მაგრამ ესპანეთი არასოდეს არ იქნება უცხო სახელმწიფოს კოლონია. ესპანელი ხალხი, რომელსაც მტკიცედ სწამს ყველა ხალხის სოლიდარობა, არ შეწყვეტს თავის ბრძოლას. ესპანელი ხალხი მიესალმება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესს, როგორც ახალ ნაბიჯს ურთიერთგაგებისა და ყველა საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

საფრანგეთის დელეგატმა **ემანუელ დ' ასტიე დე ლა ვიჟერიმ** აღნიშნა, რომ კონგრესის მუშაობის მიღებული წესრიგი შეიცავს ყველა იმ საკითხის განხილვას, რომლებიც აწუხებს ხალხებს. შეაჯამა რა კონგრესის ორი დღის დისკუსია, მან აღნიშნა, რომ უკვე მიღწეულია დადებითი შედეგები, რომლებიც თვითეულმა დელეგაციამ უნდა განიხილოს.

დასასრულ **დ' ასტიე** დე ლა ვიჟერიმ მოუწოდა კონგრესის დელეგატებს შემოიტანონ კონკრეტული წინადადებანი კონგრესის მუშაობის დღის წესრიგის საკითხებზე, რათა ეს წინადადებანი გადაწყვეტილებათა გამომუშავების საფუძველი გახდნენ.

გამოდის გერმანელი მწერალი **ანა ზეგერსი.** ახლა გერმანიაში შეუუღარებელი მდგომარეობაა. გერმანია გაყოფილია ორ ნაწილად. შრომითი მიღწევები, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევები ხალხის საერთო კუთვნილებას არ წარმოადგენს. ომის გამჩაღებლებმა გამოჰყვეს გერმანიის დასავლეთი ნაწილი, რათა თავიანთ პლაცდარმად გამოიყენონ იგი. ანა ზეგერსმა აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიაში ამერიკელი იმპერიალისტების კარნახით სამხედრო დამნაშავეებს კვლავ აყენებენ ხელმძღვანელ პოსტებზე. ახალი ომის საფრთხე, თქვა ზეგერსმა, ყველა ხალხს ემუქრება. გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობის მაგალითით მან ცხადყო, რომ ბურჟუაზიამ, რომელიც ეროვნულ სიძულვილს აღვივებდა ორ ხალხს შორის, უკანასკნელი 70 წლის მანძილზე სამჯერ შეუსია გერმანელი ჯარისკაცები საფრანგეთს. იმპერიალისტები აღვივებენ ეროვნულ მტრობას, რათა ერთმანეთს მიუსიონ ხალხები და მიიღონ მოგება.

მაგრამ იმპერიალისტების გეგმებს, აღნიშნა ანა ზეგერსმა, უპირისპირდება ხალხთა ნება მშვიდობისადმი. ადენაუერმა და მისმა ხროვამ დღემდე ვერ მიაღწიეს იმას, რომ პარლამენტში მოეწონებინათ სამხედრო ხელშეკრულებანი. ეს იმიტომ მოხდა, რომ დასავლეთ გერმანიის ხალხი ახლა უკვე მიმხვდარია, თუ საით მიჰყავთ იგი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, განაცხადა ანა ზეგერსმა, ხალხთა მეგობრობის იდეა ახალი თაობის აღზრდის საფუძველია. ჩვენ მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა ჰიტლერული ფაშიზმისაგან განთავისუფლებისათვის. ჩვენი ხალხი ნდობით შეჰყურებს თავის დიდ მეგობარს. გერმანიას სურს მეგობრულად იცხოვროს ყველა ხალხთან. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ დაიწყება ახალი ისტორიული ეპოქა, რომელიც ნიშნავს მშვიდობას ყველასთვის.

დღევანდელი დღის სხდომის დასასრულს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა იტალიის კათოლიკური ორგანიზაციის „ქრისტიანთა მოძრაობა მშვიდობისათვის“ წარმომადგენელმა ქ-ნმა **ალესანდრა პიაჯომ.** ამ ორგანიზაციამ, რომელიც მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებს, მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიწვევა და თავისი წარმომადგენლები გამოგზავნა კონგრესზე.

ორგანიზაციის „ქრისტიანთა მოძრაობა მშვიდობისათვის“ სახელით პიაჯომ შეიტანა წინადადება მოწვეულ იქნას ექვსი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინგლისისა და ინდოეთის კონფერენცია იმ პრობლემების მშვიდობიანად გადაჭრისათვის, რომელიც წარმოადგენენ საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზს და უწინაროს ყოვლისა იმ პრობლემებისა, რომლებიც აბრკოლებენ ამყამად წარმოებული ომების შეწყვეტას. მან შეიტანა წინადადება, რომ შემუშავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათწლიანი გეგმა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რომელმაც უნდა შეცვალოს ტრუმენის პროგრამის „მეოთხე პუნქტი“ და „კოლომბოს გეგმა“.

ამით დამთავრდა კონგრესის დღის სხდომა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

14 დეკემბრის დღის სხდომა

ვენა, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღევანდელ დღის სხდომაზე თავმჯდომარეობდა იტალიის პარლამენტის დეპუტატი ჯუზეპე ნიტი.

სხდომის დასაწყისში გამოვიდა ფილიპინების დელეგატი **მანუელ კრუსი,** რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ახშობდნენ და ახშობენ ამერიკელი იმპერიალისტები ფილიპინების ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

კრუსმა განაცხადა, რომ 1946 წელს ფილიპინებისათვის ფორმალური „დამოუკიდებლობის“ მინიჭების შემდეგ ისინი კიდევ უფრო დამოკიდებული გახდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

ფილიპინების ხელისუფალნი, თქვა კრუსმა, გაჰყვირიან თავიანთ „წარმატებებზე“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ეს არმია დღითიდღე ძლიერდება და განაგრძობს გმირულ ბრძოლას ფილიპინების თავისუფლებისათვის.

ტრიბუნაზეა ცნობილი კოლუმბიელი მწერალი **ხორხე სალამეა.** იგი ამბობს, რომ კოლუმბიის მმართველი წრეები ახორციელებენ საომარი მზადების ანტიხალხურ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ნაკარნახევ პოლიტიკას და სისხლიანი დიქტატურა დაამყარეს კოლუმბიაში. ხელისუფალნი სდევნიან დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და მშვიდობის მომხრეებს, საპატიმროებში ამწყვდევენ და ხვრეტენ მათ.

დასასრულ ხორხე სალამეამ აღნიშნა, რომ მშვიდობის მომხრეთა დევნის მიუხედავად, კოლუმბიაში ფართოვდება მოძრაობა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის.

კონგრესის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ **ჩან სუატ ხონგს**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 27 დეკემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საკტო დარბაზში (ძერჟინსკის ქუჩა № 8) ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ღოლობერიძე კირილე ასლანის-ძე — თემაზე **„მრავალდარგიანი მსხვილი კოლმეურნეობის ეკონომიკა“.**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. ხ. იაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ა. ი. კაკაბაძე.**

ხასია ბექირბი არჩილის-ძე — თემაზე **„გაფართოებული სოციალისტური აღწარმოება ლ. პ. ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ს. ლ. ბერაძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ა. გ. ნუცუბიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **დ. ა. ჯორიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს ეკონომიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

ძმები კოტე და ვასო გოგოლაშვილები, სიძე დიმიტრი მირიანაშვილი ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ფილიპეს-ძე გოგოლაშვილის** გარდაცვლებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს. გამოსვენება 18-XII 5 ს. ბინიდან. ლენინის ქ. № 65.

მეუღლე მარიამ, შვილები ნათელა, გიორგი, რძალი ეთერ შვილით თემურით იუწყებიან **აბრამ იაკობის-ძე მთვრ